პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 3 ИЮНЯ 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

№ 287 (19429) ◆ კვირა, 15 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან

ითითქმის მთელი თვე, რაც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. საინგარიშო-საარჩევნო კამპანიის ეს დიდმნიშვნელოვანი ეტაპი წლის ბოლო დეკემბერამდე გაგრძელდება.

დღეიდან გამართული პარტკონფერენციათა შედეგები თვალნათლივ მოწმობს, თუ რაოდენ დიდი დაინტერესებით, რაოდენ ღრმად და ხაზგასმით აანალიზებენ რესპუბლიკის კომუნისტები XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შემდეგ განვლილი მეტად პასუხსაგებ გზას, განსაზღვრავენ, სახავენ პარტიული კომიტეტების საქმიანობის ხამობასელო ამოცანებს.

ზედმეტია ბეჭაცება იმისა, თუ რა მნიშვნელოვანი, რა დიდი წვლილი შეაქვთ რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს ჩვენი პარტიის პოლიტიკური კურსის, მისი ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში. ამის თაობაზე ერთხელ კიდევ ბაზგასმით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმებზეც. სწორედ ამატომაც არის, რომ განსაკუთრებით დღეს, ორი ხუთწლედის ამ შესაკარ-გასაყარზე, პარტიულ კონფერენციათა დელეგატები განსჯიან და აფასებენ თითოეული პარტიული კომიტეტის საქმიანობას არა მარტო განვლილი საანგარიშო პერიოდის მიხედვით, არამედ იმითაც, თუ როგორ იღვწეს მათ მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

დელეგატთა ხკა-ბაასის მთავარი თემაა სოციალისტური მეურნეობრიობის, მრეწველობისა და მშენებლობისადმი, რაიონული აგრობაზრეწველი გაერთიანებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები. აღსანიშნავია, რომ დღეიდან გამართულ უმრავლეს კონფერენციებზე შეტად საფუძვლიანად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად განხილულა ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკვანძო საკითხების გადაწყვეტისათვის, მშრომელთა შორის ორგანიზატორული ღონისძიებების განხორციელებისათვის პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მუშაობა.

ბუნებრივია, ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნების საქმიან ტონს, მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტისადმი უფრო კვალიფიციურ მიდგომას, საერთოდ დელეგატების განსაკუთრებულ აქტიურობას დიდად განსაზღვრავს ის თვისებურება, რომ კონფერენციებზე განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებს. არჩევითი პარტიული ორგანოების საანგარიშო მოხსენებებში, კამათის მონაწილეთა გამოსვლებში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი, სურვილები და წინადადებები ამ პროექტების გამო, ყრილობისწინანდელ დოკუმენტების ცალკეული დებულებების მიხედვით ითვალისწინებენ ისინი თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაზე და ხასხარეზოს.

დღემდე გამართული კონფერენციების შედეგებიდან უთუოდ ერთ დადებით ტენდენციაზე უნდა ითქვას ბაზგასმით. ეს დელეგატთა განსაკუთრებული აქტიურობაა. იმას, რომ ახლა გაცილებით მეტი და მეტი კომუნისტი მონაწილეობს კამათში, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გამოსვლათა კონკრეტულობა, ლაპარაკი უშუალოდ საქმეზე და არა საერთოდ, ზოგადად, როგორც ეს წინათ ირეოდა ზეპირთა ოყოფლა. ამიტომაც არის, რომ ბევრგან კონფერენციების მიერ მიღებულ დადგენილებებში საგრძნო სიზუსტით არის განსაზღვრული პარტიული კომიტეტების ამოცანები ადგილებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. სხვა ფართო წრის პრობლემების გადაწყვეტისათვის კომუნისტთა ძალების გასაკატორებლად. რაიონული და საქალაქო პარტიული ფორუმების საქმიან მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ზოგან მეტად სწრაფად გამოსწორდა დელეგატების მიერ აღნიშნული ესა თუ ის ხარვეზი, ნაკლი. ამას ადიდებ შეეწყო ხელი კონფერენციათა მუშაობაში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების აქტიურმა მონაწილეობამ. მისასალმებელია ის პრაქტიკა, რომ მინისტრები, რესპუბლიკური უწყებათა თავკაცები აღრევე ეცნობიან დგებელებზე თავიანთი დარგების მუშაობაში შექმნილ სიძნელეს თუ ნაკლს, სწავლობენ ვითარებას და ობერატიულად წყვეტენ საკითხს ან საჭიროა განმარტებას იძლევიან.

ბევრ, ძალიან ბევრ მტკივნეულ საკითხზე, ცხოვრების მიერ წამოყენებულ ათასნაირ პრობლემებზე ლაპარაკობენ კონფერენციათა ტრიბუნებიდან: აარიგებენ კომიტეტების მუშაობის ხელსა და მეთოდებს, იწონებენ სახარგებლო ხიბლიცა და ნოვატორულ აზრს, აფასებენ გაბედული, ხაზრიანი მოქმედების ადამიანებს, მკაცრად მოითხოვენ ყველაკან და ყველა უბანზე ნებრიგის დამყარებას, პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მომეზრენობასა და ყაირათიანობას, ფორმალიზმის აღკვეთას, ლოთობასა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას.

მაგრამ მთელ რიგ დადებით მოვლენებთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგან კომუნისტთა განსაკუთრებულ აკლია გაბედულება, გულახდილობა, აზრის სიცხადე. არის ერთგვარი ტენდენციაც, რომ დიდი ხალისით აკრიტიკებენ სამეურნეო ორგანიზაციებსა და უწყებებს გაუკეთებელი გზებისა თუ უშენებელი ბინების გამო, მაგრამ ერთ სახაუვედერო სიტყვასაც არ დასძრავენ თავიანთი არჩევითი პარტიული ორგანოს მისამართით, რომელთა მუშაობაც ხშირად ახლა უნდა განიხილონ და შეაფასონ. რა თქმა უნდა, არცერთი გაუკეთებელი საქმე, არცერთი გადაუჭრელი პრობლემა კომუნისტთა ზრუნვის გარეშე არ უნდა დარჩეს, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნების დროს მეტი უურადღება უნდა ეთმობოდეს თვითონ პარტიული მუშაობის სტილს, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ფორმების გამდიდრებას, პარტიული გაკვლენის გაძლიერებას ორგორც სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად, ისე მოელი ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა უბანზე სანაკეთო შედეგების მისაღწევად.

აი ამოცანა, აი სულისკვეთება, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს კომუნისტთა ყოველ სკკ-ბაასს.

ხამწუხაროდ, ეს მოთხოვნა სრულად ვერ გათვალისწინეს ყაზბეგის რაიონული პარტიული კონფერენციის მონაწილეებმა, რომელთა გამოსვლებში არ ჩანდა პარტიის რაიკომის, მისი განყოფილებების კრიტიკა, მით უმეტეს, რომ რაიონში ბევრ მნიშვნელოვან საკითხს სწორედ რაიკომის მეტი უურადღება სჭირდება. ბევრი არაკონკრეტული სიტყვა, ზოგადი არაფრისმქმელი მოწოდებები გაისმა მეხტების რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, ხოლო ძალიან ცოტა თქვა კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომ გაძლიერებაზე, რაიონის ხახალო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე ჩამორჩენის დასაძლევად მათ კონკრეტულ მონაწილეობაზე.

საიდუმლო როდია, რომ პარტიის ზოგი რაიონული და საქალაქო კომიტეტი აქტიურად ვერ ეძებს საიმედოებს, ვერ გარდაქმნის თავის მუშაობას თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით, არჩევს ძველი, გატკეპნილი გზით საიარულს. როგორც ფაქტები მოწმობს, ჯერ კიდევ ყველა სასოფლო რაიკომი სწორად ვერ ამორეკილეულს პარტიულ ხელმძღვანელობას აგრობაზრეწველი გაერთიანებისადმი, ეწევა სპეციალისტების, სამეურნეო მუშაკების მაგვარობას, საბჭოთა საფუძვლიანი კამათი, მსჯელობა ამ საკითხებზე. და განსაკუთრებით დემილი არ შეიძლება იმ „ალმაფოთებელ ფაქტებზე, რომლებიც თელავის, მახარაძის და სხვა რაიონებში მოხდა: წამატებები, ხიკალზე, მაკინაციები, სახელმწიფო სახსრების მითვისება და დატაცება.

ამიტომ ამ რაიონების პარტკონფერენციებზე, რომლებიც მალე გაიმართება, უმკაცრესად, განსაკუთრებული მომკითხველობით უნდა შეეფასდეს რაიკომების მუშაობა, დელეგატები მარტო ფაქტების აღნიშვნა-ჩამოთვლას კი არ უნდა დასჯერდნენ, არამედ შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, დასახონ საიმისო გზები, რომ ალარასოდეს შეიქმნას ბორკომოქმედებისათვის ნიადაგი, მთლიანად გაჯანსაღონ ცხოვრების, მუშაობის ატმოსფერო.

კარგი დადგენილების მისაღებად, იმისათვის, რომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნათელი გზები დაისახოს, ასევე ნათლად და დაუფარავად უნდა ითქვას ყოველ გაუთვალისწინებელს და გაუკეთებელზე. უმისამართოდ ნათქვამი ბრძოლაში მეომრის დაუშინებელ გასროლას ბგავს. ეი რატომ ვერ დაკმაყოფილა ზუსტაფონის რაიონული პარტიული კონფერენციის მონაწილენი რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, პროკურორის და ზოგიერთი სხვა დელეგატის გამოსვლამ, რომლებმაც ნეგატიური მოვლენების ფაქტები კი ჩამოთვალეს, მაგრამ არაფერი თქვეს მათი პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის კონკრეტულ მუშაობაზე, პირველ რიგში, თავიანთ მოვალეობასა და როლზე.

კონფერენციების ყურადღების ცენტრშია სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის, სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლის ამოცანები. ასევე შემდეგშიც ნათლად უნდა ითქვას ორგორც ამ საკითხებზე, ისე იმაზეც, თუ როგორი იყო არჩევითი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა და დახმარება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისადმი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი (და როგორ გაუმჯობესდება იგი მომავალში. დიახ, ამ საკითხებს გვერდი ჯერ უნდა აუარონ, როგორც ეს მოხდა ბოგდანოვკის, გალის, ონის, ქობულეთის და სხვა რაიონების პარტკონფერენციებზე.

ერთი სიტყვით, განსასჯელი და საკამათო ბევრია. ამოცანა ახლა ის არის, რომ სხვა კონფერენციების ჩასატარებლად უნარიანად, შემოქმედებითად გამოვიყენოთ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მოწყობის დღემდე შეძენილი მდიდარი გამოცდილება. ამ ფორუმების ნაყოფიერ მუშაობას დიდად განსაზღვრავს უწინარესად ის, თუ როგორ მოვამზადებთ მათ. საკმაოა, ობიექტურ და პრინციპულ განხილვას ტონს ძალევს საანგარიშო მოხსენება. ამიტომ იგი მეშმარიტად კოლეგიური კვლევის შედეგი უნდა იყოს, შეიცავდეს არა მარტო რაიონის, ქალაქის, სამეურნეო მაჩვენებლებისა და ჩასატარებელი ღონისძიებების ჩამოთვლა, არამედ მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ღრმა ანალიზს.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ პარტიული კომიტეტების შემდგენლობაში კანდიდატურების განსაზღვრას. ჩვენს პირველ ორგანოებში უნდა იყვნენ მხოლოდ ღირსეულნი, უკეთესნი ზე უკეთესნი, ჭეშმარიტად საქმიანი, პატიოსანი, ინიციატივიანი კომუნისტები.

მისასალმებელია, რომ ახლა რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ბიუროთა წევრებად ხულ უფრო მეტი ორიდეწლიანი ირჩევენ მუშებს, კოლმეურნეებს, ქალებს.

მომავალ საანგარიშო პერიოდისათვის კონკრეტული საბრძოლო ამოცანების სწორად განსაზღვრა, მათი შესრულებისათვის შინაარსიანი და ეფექტიანი მუშაობა მტკიცე გარანტია იქნება იმისა, რომ საქართველოს პარტიული ორგანოებიანი კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინო წარმატებებით შეეგებოს ჩვენი პარტიის XXVII ყრილობას.

ინიციატორთა დევიზი: სკკპ XXVII ყრილოგას—27 დამკვრელური კვირა!

მოწინავეთა შორის

თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონის საწარმოთა შორის, აქაური მშრომელები წელიწადში 3 მილიონ 658 ათასი მანეთის პროდუქციას ამზადებენ.

ამჟამად კოლექტივი (დირექტორი — მ. გოლეთიანი) საყრილობო ვახტაზე დგას და შრომობს დევიზით — „სკკპ XXVII ყრილობას—27 დამკვრელური კვირა“. მიმდინარე წლის 10 თვეში კომბინატმა გეგმის გადამეტებით შეასრულა როგორც პროდუქციის გამოვების, ისე მისი რეალიზაციის გეგმა. მარმარილოს შეწებებულ ფილებზე, მარმარილოს ნამცეცზე, ფხვნილზე და განსაკუთრებით ლოპოტის მარმარილოს პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა.

ლოპოტის მარმარილოს კარიერებით სავსეა ჯავკისონის მთების კალთები. თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის მთები ამ ძვირფასი ნედლეულით ძალიან მდიდარია, მაგრამ განსაკუთრებული რელიეფური პირობების გამო მისი ტრანსპორტირება ძნელდება. კარიერებამდე მისვლა შეუძლიათ მხოლოდ „ზილის“ მარკის სატვირთო ავტომანქანებს, რომლებიც დღეში კარიერიდან კომბინატამდე მოსცლას ორჯერ ძლივს ასწრებენ, ამას ემატება ისიც, რომ კომბინატი ასეთი მანქანების და საერთოდ ტრანსპორტის ძლიერ ნაკლებობას განიცდის, რაც საქმეს აფერხებს. ასეთ პირობებში კომბინატი გაკვრებით ამუშავებდა წელიწადში 13-14 ათას ტონა ლოპოტის მარმარილოს.

სულ ახლახან კარიერიდან საწარმომდე მანძილი 50 კილომეტრიდან 15 კილომეტრამდე შემცირდა, საქმე ის გახლავთ, რომ მარმარილოს სამსხვრევი საამქროა თვისი გამოეცხი დახადგარებით, ლაფანყურის თავში კარიერიდან 15 კილომეტრის მანძილზე დამონტაჟდა, აქედან კი დამუშავებული პროდუქციის ტრანსპორტირება სხვადასხვა სახეობის სწრაფმავალი მანქანებითაც ხერხდება, ამან კი აღნიშნული პროდუქციის წარმოება 50 ათასი ტონით გაზარდა.

კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლისა და საერთოდ მეფერთმეტე ხუთწლედის გეგმები შესრულა. იგი ღირსეულად ხვდება სკკპ XXVII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობებს.

დ. გერგიუშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სიკეთე—შრომაში

სამტრედიის რაიონში დაბადებული კაცისათვის რეინგზელობა ჩვეულებრივი ამბავია. არც ნოდარ კაკაბაძის ნაბიჯი გაჰკვირვებიათ ახლობლებს, როდესაც იგი დიდი ჯანაშის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა 1959 წელს და თავისი შრომითი გზა მემანქანეობის თანაშემწეობით დაიწყო. ამ დღის შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტმა გაიარა და ნოდარ კაკაბაძის შრომითი ბიოგრაფიის ფურცლები სანაკვებოდ შეივსო. ახლა იგი თბილისის მახარობლებელი დეპოს მემანქანე მძიმეწონიანი ნთა ბრიგადის ხელმძღვანელია, არის სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელობს დეპოს ხაეჭსპლოატაციო საამქროში მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის საკითხებს, დაჯილდოებულია 9 მაისისათვის გადაეცემა 40 მძიმეწონიანი მატარებელი და ზეგეგმით გადაზიდული ტვირთის საფასური მშვიდობის ფონდში გადაერიცხა. ვალდებულება პირნათლად შესრულდა.

ნოდარ კაკაბაძე დეპოს კოლექტივში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მისი სიტყვა ყოველთვის საქმიანი და მიზანდასახულია. მისი თანამონაბი ეეიქმნა სალოკომოტივო დეპოში მძიმეწონიანი მატარებლების ტარების შესწავლის კალა. მეოერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის მძიმეწონიანი მატარებლების მემანქანეთა რიცხვი 8-ჯერ გაიზრდება.

სალოკომოტივო დეპოში ერთ-ერთ თათბირზე ნოდარ კაკაბაძემ აზრი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ თითოეულმა მემანქანემ კვარტალში ზეგეგმად გადაიტანოს 5600 ტონა ტვირთი, ხოლო თანხა მშვიდობის ფონდში ჩარიცხოს. ეს წინადადება თათბირზე ერთხმად მოიწონეს. გადაწყვეტეს, რომ თითოეული მთგანი ყოველ კვარტალში 112 მანეთს ჩარიცხავს მშვიდობის ფონდში, რამეული ფული დღე იზრდება.

ნოდარ კაკაბაძის მძიმეწონიანთა კოლონამ მიმდინარე წლის დამდეგიდან მშვიდობის ფონდში 2000 მანეთზე მეტი ჩარიცხა. სახელოვანი მემანქანე ახალგაზრდობის უბადლო დამრიგებელია. მან გზა დაუფლოცა თავის რვა თანაშემწეს, რომლებმაც მის ხელში გაიარეს ფრთობა და მშვენიერად ართმევენ თავს მემანქანის რთულ პროფესიას. ნოდარი იმისათვის იღვწის, რომ დეპოს მემანქანეთა 80-85 პროცენტი მძიმეწონიანი მატარებლების ტარებას დაეუფლოს. იგი გულისხმიერი, უურადღებიანი, დინჯი და თავმდაბალია, როგორც ყველა ნამდვილი მშრომელი კაცი. ნოდარ კაკაბაძისათვის შრომა არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობა გახლავთ.

ერთი სიტყვით, ნოდარ კაკაბაძის შრომითს ბიოგრაფიას რომ გაეცნობი, გაიფიქრებ, ეს კაცი რაც უფრო მეტ ენერგიას ხარჯავს, ზღაპრული ჭანსა აქ იყოს, მით უფრო მეტს ძეენსო.

დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ თავის ერთ-ერთ კრებაზე მოისმინა კომუნისტ ნოდარ კაკაბაძის ანგარიში: ერთხელ კიდევ გამოჩნდა საქმისადმი მისი ერთგულება, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, მის ხაუბარში იყო კრიტიკაც და თვითკრიტიკაც, აღნიშნა როგორც სხვების, ისე საკუთარი შეცდომებიც, რათა ისინი აღარ განმეორდეს. კრებამ ერთხმად მისცა კომუნისტს დადებითი დახასიათება.

ნოდარ კაკაბაძე ცხოვრობს და შრომობს ისე, როგორც ბეშმარიტ კომუნისტს, ნამდვილ მაბოლშევიკს შეეფერება, რადგანაც იცის, რომ შრომა უდიდესი სიკეთე ამ ქვეყნად, რომ შრომაშია ის დიდი ემაყოფილება და ბედნიერება, ადამიანს თავისი ხალხის, თავისი სინდისის წინაშე წმინდად მოხდილი ვალის შეგნება რომ ანიჭებს.

ნ. ლურსმანაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

სურათზე: ნოდარ კაკაბაძე.
ხ. ვართანიანცის ფოტო.

სასურსათო პროგრამა მოქმედებს

სურათებზე: კომბინატის მოწინავე მუშა, ახალგაზრდა კომუნისტი ტახირ გაჯიევი; მიმდინარეობს კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა.

შ. აიპაჯანოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები

საქართველოში იმყოფებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ქიმიური მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. გ. ფოფინინი, სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების მინისტრი ა. გ. პეტრიჩენკი, სსრ კავშირის ნავთობგაზადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის მინისტრი ნ. ვ. ლემაევი და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. ს. სმირნოვი. ისინი გაეცნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული დარგის საწარმოებს — რუსთავის საწარმოო გაერთიანებებს „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და ქუთაისის ლითოფოთლისა და რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნების საქმიანობას, შეხვდნენ საწარმოთა ხელმძღვანელებს, ინჟინერ-ტექნიკურ შუამავლებსა და მუშებს, გამოიკითხეს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ქიმიური მრეწველობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია, რომელიც უფრო დიდ ყურადღებას, პარტიულ და სახელმწიფო ზრუნვას საჭიროებს. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: 30-32 პროცენტით უნდა გაიზარდოს ამ დარგების პროდუქციის მოცულობა, გაფართოვდეს მისი ასორტიმენტი და გაუჯრედესდეს ხარისხი. პარტიისა და ხელისუფლების ამოცანაა შესრულება მოითხოვოს აგრეთვე საქართველოს ქიმიკოსთა დაბალ მეცადინეობას. მათ უახლოეს დროში უნდა გადაჭრან მთელი რიგი პრობლემები, განსაზღვრონ ზუსტი კურსი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის გაზრდის, აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე რესპუბლიკის მთელი ეკონომიკის დაყენებისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის ცალკეული საწარმოები მთლიანად ვერ იყენებენ მუშობაში თავიანთ შესაძლებლობებს. თუ „საქსამთქიმმრეწვის“, „საქაფფქიმიის“, „საქმოლიმერკომბინატის“ კოლექტივები წარმატებით ასრულებენ ხუთწლედის დავალებებს, გვიჩვენებენ დიდნაყოფიერი შრომის მაგალითს, ამას ვერ ვიტყვით საქართველოს დიდი ქიმიის ფლაგმანებზე — საწარმოო გაერთიანებებზე „აზოტსა“ და „ქიმბოჭკოზე“. იმის მთავარი მიზეზი, რომ ისინი ჩამორჩენილნი და ვერ აღწევენ ხუთწლიანი გეგმით დასახულ მიჯნებს, ისევ არაასკმარისი ორგანიზებულობა, ის, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები არ იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას, სუსტია მუშაობა კადრებისა და წამყვანი სპეციალისტების მომზადება. ეს კი იწვევს ხშირ ავარიებს, ძირითადი და დამხმარე მოწყობილობის დიდი ხნით გაფუჭებას, შრომის, ტექნოლოგიური, საწარმოო დისციპლინის დარღვევებს.

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ კოლექტივი უკვე რამდენიმე წელია არასტაბილურად მუშობს, და თუმცა ეს საწარმო ახალგაზრდა არ არის, ვერ შეძლო მოეგვარებინა მუშობის ზუსტი სისტემა, დაეხვეწა ტექნოლოგიური ციკლები, მოეწესრიგებინა მთმარაგება და პროდუქციის გასალება, აწყდება ბევრ ნაკლოვანებას ამ პრობლემას. ეს არის გაუთვალისწინებელი მოცდენებიც, რომელთა მიზეზია ორთქლის მიწოდების შეფერხება — აქვე უნდა ითქვას, რომ გაერთიანებას საკუთარი წარმოების ორთქლი აქვს, — მთელი რიგ შემთხვევებში მოწყობილობის ცალკეული კვანძებისა და აგრეგატების დეფექტების გამო. კაპროლაქტამის ახალი წარმოება დროულად არ იყო დაკომპლექტებული კადრებით, მათი კვალიფიკაცია დაბალია.

შემოსული ნედლეული — კრასნოდარიდან გამოგზავნილი გოგირდმჟავა და აქვე დაშზადებული წყალბადი, ამოტი, ქანებადი მდარე ხარისხისაა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქციის გამოშვებაზე.

გაერთიანების ხელმძღვანელობასთან საუბრის დროს აღინიშნა, რომ უნდა გაითვალისწინონ ეს და სხვა კრიტიკული შენიშვნები, უაზოოს დროში დაძლიონ ჩამორჩენა, მიაღწიონ, რომ შეცდომები არ განმეორდეს ამიაკისა და ამონიუმის გვარჯილის საამქროთა კომპლექსის გაფართოების დროს.

საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ წინაშე დასახული პრობლემებიც მიმდინარე რეკონსტრუქციის ვადებსა და ხარისხს ეხება. კორდის ძაფის წარმოების მეორე რიგის საპროექტო სიმძლავრე 3 ათასი ტონით ნაკლებია მოქმედზე. გაერთიანებაში ბნიშვნელოვანი ჩამორჩენილი დაამონტაჟეს და ამუშავეს ორი სამაცივრო-საკომპრესორო მანქანა, რაც ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის მთავარი მიზეზი გახდა. ორი სხვა ასეთივე მანქანა, რომლებიც ესოდენ სჭირდება საწარმოს გეგმის შესასრულებლად, ჯერ დამზადებულიც კი არ არის, თუმცა ისინი მიმდინარე წელს უნდა დაედგათ. დამპროექტებელთა ხარვეზების გამო დამაკმაყოფილებელ ჯერ მუშაობენ საგრები მანქანები, მწყობრიდან გამოვიდა ამ მანქანებზე დადგმული ექვსი ათასი ელექტროძრავა, სათადარიგო ძრავები კი არ არის. წლის დამდეგიდან გაეტანა ანებას დააკლდა დაახლოებით 12 ათასი ტონა კაპროლაქტამი.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მკეთრად გაუარესდა ნავთობპროდუქტების

(დასასრული მე-2 გვ.)

საშგარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

13 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი ესაუბრა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მასლაჰის წევრს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრს გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ოლტიანუს, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის საბჭოთა მთავრობის მოწვევით და მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში.

სტუმარს გააცნეს საბჭოთა საქართველოს მიღწევები სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, მან, თავის მხრივ, ილაპარაკა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებების შესახებ.

საუბრის დროს ემაყოფილებინა აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობა სულ უფრო ვითარდება. ხაზი გაესვა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შემდგომი მჭიდრო ურთიერთშემეგობრობა ხელს უწყობს იმპერიალისტური წრეების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების ალაგმვას, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ოლტიანუმ დიდი მადლობა გადუხადა საბჭოთა ადამიანებს გულთბილი მასპინძლობისათვის სსრ კავშირში ყოფნის დროს, უსურვა რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის მშრომელებს ახალი წარმატებანი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის წინ.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ვ. ჩერქეზოვი, ამიერკავკასიის წყალელდრონოვანი საბჭოდრო ოლქის

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღ[illegible] საბჭოს პრეზიდიუმმა ამს. ბორის ივანეს ძე **გოსტაევი** სსრ კავშირის ფინ[illegible]ნსთა მინისტრად დანიშნა.

სსრ კავშირში კორეის [illegible] დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტ[illegible]ციული საბჭოს პრემიერის კან სენ სანის ვიზიტის ბ[illegible]ასახებ

საბჭოთა მთავრობის მოწვევით კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინის[illegible] [illegible] საბჭოს პრემიერი კან სე[illegible] 1985 წლის დეკემბრის დამ[illegible] ოფიციალურ მეგობრულ [illegible] ჩამოვა საბჭოთა კავშირში.

რეზოლუციები ლიტერატურის ასალი ეწვევრეგალეგისკენ

13 დეკემბერს მუშაობას განაგრძობდა რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის VI ყრილობა.

საანგარიშო მოხსენების გამო სამოლოო სიტყვა წარმოთქვა ს. მიხალკოვმა.

დელეგატებმა მიიღეს ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც ასახულია რუსეთის ფედერაციის ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზები.

ყრილობამ აირჩია რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები და მწერალთა VIII საკავშირო ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატები.

* * *

14 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის VI ყრილობამ.

ყრილობის მონაწილეებმა აღფოთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

ყრილობის სამოლოო სხდომას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი.

* * *

ბაიმართა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის რუსეთის ფედერაციის მწერალთა VI ყრილობაზე აირჩიეს ვამეგობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის ვამეგობის თავმჯდომარედ აირჩია ს. ვ. მიხალკოვი, თავმჯდომარის მოადგილედ — ი. ვ. ბონდარევი.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის სარეგიზიო კომისიის პირველ პლენუმზე კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ს. მ. ბოზენენი. (სასდეს).

გამოვავლინოთ შეცდომები, ნიშნავს გამოვასწოროთ ისინი

ბევრი ახალმშენებლობა გაჩნდა უკანასკნელ წლებში კასპის რაიონის რუკაზე. ამუშავდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკა, სტუმართმოყვრულად გაიღო „კასპელექტროაპარატის" ქარხნის გამჭანსაღებელი კომპლექსი რკონში, საჭიდაო დარბაზი მეტეხში. აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები და სანაპირო რაიონულ ცენტრში, სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, კლუბები. სოფლებში გაყვანილია გზატკეცილები, გაზსადენი, გვარდება წყალმომარაგება...

თვალსაჩინო ცვლილებები, რომლებიც მრავალი თვალსაზრისით პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია, შეეხო რაიონის არა მარტო სოციალურ, არამედ ეკონომიკურ ცხოვრებასაც. ვადამდე უპატაკეს სამშობლოს ხუთწლედის შესრულება მრეწველობის მშრომელებმა. მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 10 მილიონი მანეთის პროდუქცია. მეათე ხუთწლედთან შედარებით უფრო დაჩქარდა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი, რომელიც 32,2 პროცენტს შეადგენს, 23,5 პროცენტით გაიზარდა შრომისნაყოფიერება. ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრების ლიდერთა რიცხვში არიან „კასპელექტროაპარატის", „სჭქცეოლითის", ...

ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია. და ეს დამაჯერებლად ცხადყო საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კონფერენციამ. მთავარია, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე, თითოეული კოლექტივის შრომის რიტმი შეესაბამებოდეს დროის მოთხოვნებს, არ დავჯერდეთ მიღწეულს. ვესწრაფოდეთ, როგორც ეს აღნიშნულია ძირითად მიმართულებათა პროექტში, სახალხო მეურნეობის განვითარების ინტენსიურ მეთოდებს.

მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი. და ისინი, უთუოდ, ადასტურებენ რაიონის პარტიული ორგანიზაციის მიერ აღებული კურსის სისწორეს. მაგრამ საქმის ვითარების ღრმა და ყოველმხრივმა ანალიზმა, რომელიც მოცემულია პარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივნის ჯ. ჯავახიშვილის საანგარიშო მოხსენებაში, არა მარტო მკვეთრად წარმოაჩინა შრომითი პოტენციალის შემდგომი გადიდების რეზერვები, არამედ ბევრი სერიოზული პრობლემა და ხარვეზიც გამოავლინა.

კონფერენციაზე განსაკუთრებული შეშფოთებით ილაპარაკეს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატსა და მეტეხის საშენ მასალათა მრეწველობის კომბინატში შექმნილი საქმის ვითარების შესახებ. მიმდინარე ხუთ-...

[illegible]

დების გარდაქმნა ძალზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რის გამოც ბოლო დროს ამ შრომით კოლექტივში მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა.

განვლილ ოთხ წელიწადსა და მიმდინარე წლის პირველ ნახევა-...

პარტიული ცხოვრება: საქალაქო და რაიონულ კონფერენციებზე

საქმეში წვრილმანები არ არსებობს

[illegible]

...სნას ვერ მოვუძებნით იმას, როცა წაღვერის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 4,4 ცენტნერ, ხოლო ტბის კოლმეურნეობაში 10,1 ცენტნერ მარცვლეულს იღებენ. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში კვლავ დაბა-...

...იყოს ამ საქმეში მიღწეული წარმატებანი, მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ, მით უმეტეს, რომ მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის ორგანიზაციაში, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში კვლავინდებურად...

...მოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგემ ვ. ჩხეიძემ.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

ხელოვნების ახალი ჰორიზონტები

სკკპ პროგრამის პროექტმა გამოქვეყნებისთანავე მიიზიდა ჩვენი მუსიკალური საზოგადოების ყურადღება და მაშინვე იქცა მსჯელობისა და განხილვის საგნად. სხვებთან ერთად მეც შევეცადე საფუძვლიანად გავცნობოდი და ჩავწვდომოდი პროგრამის პროექტის შინაარსს. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ნათლად ...

[illegible]

...ოდეს მეცნიერული, რომ სწრაფვაც და სურვილიც საქმედ იქცეს.

ნ. გაბუნია,
პროფესორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი.

უმაღლესი სკოლის დიდი თვალსაწიერი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება პარტიის სტრატეგიული კურსია და მისი მიზანია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის თვისებრივი გარდაქმნა.

ამ კურსის რეალური განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა უმაღლესი სკოლის შემდგომ განვითარებას, მისი სტრუქტურის გარდაქმნას, სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას. პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ზუსტად არას განსაზღვრული საბჭოთა უმაღლესი სკოლის განვითარების, მისი სრულყოფის, მისი ფუნქციონური გარდაქმნის პერსპექტივები, გამოკვეთილია უმაღლესი სკოლის ადგილი და როლი საბ-...

ტენციალის შემდგომ ზრდას იმ მიზანდასახულობით, რომ მან თავისი ღირსეული, ეფექტიანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროცესში და ამით მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება და გაუმჯობესება. მხოლოდ ყველა ამ მიმართულებით ...

ლების მიმართულებით, ასევე სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების სრულყოფის თვალსაზრისითაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის მეცნიერება ამჟამად აღმავლობას განიცდის. მუშავდება სახალხო მეურნეობისათვის და, საერთოდ, ...

[illegible]

...შემდგომი გაუმჯობესება. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციული სწავლებიდან პრობლემურ სწავლებაზე გადასვლას და სწავლების პროცესში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის ფართო დანერგვას; უმაღლესი სკოლის მეცნიერების პო-...

...ლად შეესაბამებიან დროის მოთხოვნებს, საინჟინრო, აგრონომიულ და სამედიცინო სპეციალობებში საჭიროა სპეციალისტთა მომზადების თვისობრივად გარდაქმნა. აქ ჩვენ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, როგორც თვითონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღ-...

[illegible]

ჯ. კ...,

განვითარების პერსპექტივები

[illegible]

ავტომატიზებული სისტემის ეფექტიანობა

რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწვის" სპეციალისტების მიერ შემუშავებული და დანერგილი მართვის ავტომატიზებული სისტემები ფართოდ გამოიყენება მეტალურგიულ, ქიმიურ და სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში. ეს სისტემები წარმატებით არის დანერგილი სევეროდონეცკის, პერვოურალსკის, ნიჟნი ტაგილის, ბათუმის, ქიათურისა და ქვეყნის სხვა ქალაქების საწარმოებში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტუალურ პრობლემებს წყვეტენ გაერთიანების 15 წამყვანი განყოფილება, საცდელი ქარხანა, გამოთვლითი ცენტრი. № 2 საკონსტრუქტორო განყოფილება ამუშავებს და ამზადებს მოძმე რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების საწარმოებისათვის განკუთვნილი მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და სადისპეტჩერო მოწყობილობის ექსპერიმენტულ ნიმუშებს.





განყოფილების სპეციალისტები მუშაობენ დედამიწის კარტოგრაფიული ინფორმაციის წინასწარი დამუშავების სისტემების შექმნაზე.

სურათებზე: უფროსი ინჟინერი დალი ძარგუაშვილი ამუშავებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანით მიღებულ მონაცემებს; რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში" დადგმული ეს გამოთვლითი კომპლექსი შეიმუშავეს და დანერგეს „ავტომატმრეწვის" სპეციალისტებმა, გვარჯილის აs-72 ამონიუმის დიდტონაჟიანი აგრეგატის მმართველი კომპლექსის სისტემა გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით უზრუნველყოფს წარმოების დიდ ეფექტიანობას: მართვის ადაპტური სისტემების ლაბორატორიის გამგე სტანისლავ მოისეევი და უფროსი ინჟინერი შოთა ქუმსიევი.

ვ. ვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები

(დასასრული)

ხარისხი, გაიზარდა მათი თვითღირებულება. ეს ძველი საწარმოა, რომელიც მოძველებული ტექნოლოგიით მუშაობს და ძირეულ განახლებას საჭიროებს. აქ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებზე, რომლებმაც ენერგიული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა შექმნან სამშენებლო ბაზა დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულების მიზნით.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციის ძირითად მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ მისი პირველი ეტაპი, რომელშიც შედის ნედლი ნავთობის გადამუშავება და დიზელის სათბობის ჰიდროგაწმენდა. ეს უზრუნველყოფს სტაბილურ მუშაობას და მთლიანად ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ხოლო რეკონსტრუქციის მეორე ეტაპის დამთავრების შემდეგ საწარმო მიაღწევს დარგში საუკეთესოთა დონეს.

მიმდინარე წელს დიდძალი პროდუქცია დააკლო სახალხო მეურნეობას ქუთაისის ლითოფონის ქარხანამაც. საწარმომ, რომელიც წარსულში მოწინავე პოზიციებზე იდგა, ბოლო დროს დათმოის, იგი ვერ ახერხებს ლითოფონის წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესების სტაბილიზაციას, მეტ ყურადღებას მოითხოვს ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ეს საწარმოც ხომ ერთ-ერთი უძველესი საწარმოა, სადაც, სამწუხაროდ, ხელის შრომა ჭარბობს.

ქიმიური საწარმოების პარტიულ-სამეურნეო აქტივთან საუბარში ამხანაგმა ბ. გ. აფონინმა, საკავშირო სამინისტროების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ სიმძლავრეთა განვითარება წარმოების ზურგის სრულყოფას.

სერიოზულ ყურადღებას საჭიროებენ სოციალური საკითხებიც. ხშირად კადრების დენადობა და ნაკლებობა იმით არის გამოწვეული, რომ ჯეროვნად არ ზრუნავენ მათთვის, აკლიათ ბინები, სხვა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადებასთან, ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარების პრობლემებსა და პერსპექ-...

...ტივებზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მომავალი ხუთწლედისათვის სწორი დაგეგმვის საკითხმა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალი წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა უმნიშვნელოვანესი თავისებუ-...

...თა პასუხისმგებლობის გაზრდას.

ამხანაგები ბ. გ. აფონინი, ა. გ. პეტრიშჩევი, ნ. ვ. ლამაევი და ვ. ს. სმირნოვი შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილს და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ...

...ტერიტორიაზე განლაგებული დარგის საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის ზრდისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

რესპუბლიკის საწარმოთა დათვალიერების დროს ამხანაგ ბ. გ. აფონინთან, საკავშირო მინისტრებთან ერთად ...

[illegible]

(საქინფორმი).

საუბარი კრემლში

18 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ლ. მერმაზი.

საუბრის დროს გაამუქეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის, მათ შორის, საპარლამენტო კონტაქტების განვითარების პერსპექტივები.

როდესაც მსოფლიოს ახლანდელ რეალურ ვითარებას განვიხილავთ, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ კაცობრიობა მიადგა ისეთ ზღვარს, რომლის შემდეგაც შეიძლება დაიწყოს სამხედრო მიზნით მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენებასთან დაკავშირებული უმართავი პროცესი. კოსმოსის მილიტარიზაცია, რომელზეც ახლა ამდენს ლაპარაკობენ, ძირგამოთხრის საფრთხეს უქმნის ისედაც მერყევ სტრატეგიულ სტაბილურობას. დღეს მთავარი მიზანია ახალი თვალით შევხედოთ შექმნილ ვითარებას და ჯეროვნად შევაფასოთ იგი. შევწყვიტოთ შეიარაღების ესკალაცია, ისე წარვმართოთ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის მეშვეობით გადავიდეთ საერთაშორისო უშიშროების სტაბილური, საიმედო სტრუქტურის შექმნაზე.

ა. ა. გრომიკომ, კერძოდ, აღნიშნა, რომ პარიზისა და ჟენევის ამასწინანდელი უმაღლესი დონის შეხვედრების შედეგად აღმოსავლეთ-დასავლეთის აქტიური დიალოგის განახლება გვისახავს შესაძლებლობას დავაახლოოთ პოზიციები თანამედროვეობის მთავარი პრობლემის — დედამიწაზე გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსში მისი დაუშვებლობის პრობლემის მიმართ.

შეეხო რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის ჟენევის შეხვედრას, ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ სასარგებლო გამოდგა ამ შეხვედრაზე გამართული პირდაპირი და გულახდილი აზრთა გაზიარება. არსებობს ყველა პირობა საიმისოდ, რომ ამ შეხვედრის შედეგებმა სასიკეთო გავლენა მოახდინონ მსოფლიოს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კლიმატის შეცვლაზე, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებასა და ბირთვული საფრთხის შემცირებაზე. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამერიკის ადმინისტრაციას ჯერჯერობით ვერ ვატყობთ მზადყოფნას მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებანი, უწინარესად, გამალებული შეიარაღების კოსმოსში გასვლის დაუშვებლობის საფუძველზე ბირთვული საფრთხის აღკვეთის საქმეში.

საუბრის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ერთმანეთს უახლოვდება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მიდგომა იმ საკითხში, რომ საჭიროა გზა გადავუღობოთ გამალებულ შეიარაღებას კოსმოსურ სივრცეში, აღმოვფხვრათ აქ სამხედრო მეტოქეობა და შევინარჩუნოთ კოსმოსური სივრცე ყველა სახელმწიფოს სასიკეთო მშვიდობიანი საქმიანობისათვის.

საბჭოთა მხარემ გამოთქვა იმედი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგების შესახებ“ დადებითად მოეკიდებიან საფრანგეთის ეროვნულ კრებასა და სენატში.

საბჭოეთის მხრივ გამოითქვა მზადყოფნა გააფართოვოს თანამოქმედება საფრანგეთთან საკვანძო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის, სრულიად ევროპის პროცესის განგრძობის, აღმოსავლეთ-დასავლეთის თანამშრომლობის განვითარების საქმეში.

საუბრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ორივე მხარე ისწრაფვის კვლავაც განავითაროს ორმხრივი თანამშრომლობა ყველა დარგში, რომელსაც ახალი იმპულსი მიანიჭა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ამასწინანდელმა პარიზის უმაღლესი დონის შეხვედრამ.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი ელემენტია საპარლამენტო კონტაქტები.

ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის მშვიდობიან წინსვლა-განვითარებას, ამას მოწმობს ფართოდ გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო მზადება სკკპ XXVII ყრილობისათვის.

ამხანაგურ ვითარებაში

18 დეკემბერს მოლაპარაკებას განაგრძობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი.

ამავე დღეს ე. ა. შევარდნაძემ და პ. მლადენოვმა ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1986-1990 წლების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გეგმას.

დოკუმენტი ითვალისწინებს კიდევ უფრო გაღრმავდეს და დაიხვეწოს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობა მეცნიერების, სწავლა-განათლების, კულტურისა და ხელოვნების, კინემატოგრაფიის, რადიო-ტელევიზიის, საგამომცემლო საქმის და სპორტის დარგში. გეგმით დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია ხელს შეუწყობს საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ძმური მეგობრობის გაღრმავებას.

• • •

ე. ა. შევარდნაძემ საუზმე გაუმართა პ. მლადენოვს. საუზმის დროს, რომელიც გულითად, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, ე. ა. შევარდნაძემ და პ. მლადენოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

• • •

საღამოს პ. მლადენოვი სამშობლოს გაემგზავრა. იგი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე პ. მლადენოვი გააცილეს ე. ა. შევარდნაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ისტორიის გაკვეთილები

18 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებისათვის გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ნიურნბერგის პროცესის 40 წლისთავს. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ნ. ა. ბაჟენოვი, მეცნიერები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი ტუსაღები.

ნიურნბერგის პროცესმა, აღინიშნა გამოსვლებში, სამზეოზე გამოიტანა ფაშიზმი და შეაფასა საფრთხე, რომლისგანაც იხსნეს კაცობრიობა გმირმა საბჭოთა არმიამ და მოკავშირე ჯარებმა, დაადასტურა საერთაშორისო თანამშრომლობის, ადამიანური მორალის სპეტაკი და კეთილშობილური პრინციპები, ადამიანთა საერთო ცხოვრების ჰუმანური წესები. მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილები მოწმობს, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობა აუცილებელია და შესაძლებელია აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის, ათასობით იმ ჰიტლერელი ჯალათის საკადრისი და სასტიკი დასჯისათვის ბრძოლაში, რომლებიც ჯერაც არ მიუციათ სამართალში. ეს არის კაცობრიობის წარუვალი ვალი ჰიტლერული ფაშიზმის მილიონობით მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე.

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ისტორიული განაჩენი მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებს იფხიზლონ, მტკიცედ იმოქმედონ რევანშიზმის, ნეონაციზმის, ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ, მოუწოდებს იბრძოლონ ომის წინააღმდეგ, სანამ იგი დაიწყებოდეს. თორემ მერე გვიან იქნება. (საკდესი).

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ბორისოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახვლედიანი; რუმინეთის მხრივ — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის უმაღლესი პოლიტიკური საბჭოს მდივანი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ჩაუშესკუ, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ვ. სტენკულესკუ.

• • •

იმავე დღეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის სახელით საპატიო სტუმარს სადილი გაუმართეს.

14 დეკემბერს კ. ოლტიანუ თბილისიდან ბუქარესტს გაემგზავრა. (საქინფორმი).

საქართველოს დედაქალაქის სტუმარი

18 დეკემბერს თბილისის გარნიზონის ერთ-ერთ ნაწილში გაიმართა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა ილაპარაკეს საბჭოთა და რუმინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის, მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლის, საბჭოთა არმიისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის არმიის თანამებრძოლ მეომართა დღევანდელი ძმობის შესახებ. მიტინგი მოეწყო რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ოლტიანუს პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის ჩამოსული ჩვენს ქვეყანაში.

მიტინგი გახსნა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ა. კოჩეტოვმა.

შესრულდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სტუმარს მიესალმნენ და სამახსოვრო სუვენირი მიართვეს გვარდიული ნაწილის წარმომადგენლებმა, რომლის პირადი შემადგენლობის 85 პროცენტს მაღალი კლასის სპეციალისტები შეადგენენ.

მიტინგზე გამოვიდნენ გენერალ-პოლკოვნიკი კ. ოლტიანუ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, რომელიც სტუმარს თან ახლავს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობისას. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა და რუმინელი ხალხების ოდინდელი მეგობრობა, სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი ორი ქვეყნის მეომრების თანამეგობრობა კვლავაც განმტკიცდება.

მიტინგის დასასრულს შესრულდა „ინტერნაციონალი“.

გენერალ-პოლკოვნიკი კ. ოლტიანუ გაეცნო ამიერკავკასიელ მეომართა ცხოვრებასა და საბრძოლო სწავლებას, დაესწრო ბატალიონის ტაქტიკურ წვრთნას.

სტუმარმა დაათვალიერა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

(საქინფორმი).

ბავშვებს საინტერესო არდადეგები მოელით

მალე დაიწყება მოსწავლეთა არდადეგები — დასვენების, ხალისიანი განწყობილების, მშობელ მხარეში კულტურული ლაშქრობისა და წარმტაცი მოგზაურობის ხანა.

— ბევრი რამ მოესწრება ათ დღეში, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ. — თბილისში არდადეგების დღეებში მოეწყობა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეული. მოსწავლეები შეხვდებიან მეცნიერებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, წარჩინებულ მუშებს. ნორჩი ტექნიკოსები მონაწილეობას მიიღებენ დისპუტში „ვინ გამოვალ“.

მაგრამ, უწინარესად, — ნაძვისხის შესახებ. კულტურის სახლებსა და სახლებში, მუშათა და სოფლის მშრომელთა კლუბებში ნაძვისხის დღესასწაული მილიონ-ნახევარზე მეტ ბავშვს შემოიკრებს. რესპუბლიკის მთავარი ნაძვისხე დაიდგმება სპორტის სასახლეში. მისი სამოსი სპეციალური შეკვეთით არის დამზადებული. საახალწლო პროგრამით გათვალისწინებულია საინტერესო ნაამბობი ჩვენი დიადი სამშობლოს, ლენინური პარტიის შესახებ, რომლებიც მზრუნველობას არ აკლებენ საბჭოეთის ნორჩ მოქალაქეებს. „ჩემი სამშობლო სსრ კავშირია“ — ამ საკავშირო კონკურსის გამარჯვებულნი გაემგზავრებიან ბაკურიანის ნორჩ ტურისტთა ბანაკში. სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა დიდი ჯგუფი დაისვენებს „არტეკის“ საერთაშორისო პიონერულ ბანაკში.

ზამთრის არდადეგების აფიშა ბავშვებს იწვევს კარნავალებზე, ლიტერატურულ საღამოებზე, კონკურს-ვიქტორინებზე, სპორტულ შეჯიბრებაზე, მხატვრული, დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმების სანახავად.

ათასობით ბავშვი დაისვენებს ოცზე მეტ პიონერულ და გამაჯანსაღებელ ბანაკში — ეწვევა სოხუმს, ქობულეთს, წყნეთს, ბაკურიანსა და სხვა კურორტებს. ბევრი ბავშვი ჩავა ექსკურსიაზე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, რიგაში, ოდესაში. ლაშქრობათა მნიშვნელოვანი ნაწილის მარშრუტები გადის ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, სადაც ბავშვები შეხვდებიან ომისა და შრომის ვეტერანებს.

ერთად ცხოვრების ხელოვნება

„ეს იყო კარგი გაკვეთილი ერთად ცხოვრების, ჩვენი ქვეყნების ორმხრივი ინტერესების პატივისცემის ხელოვნების შესწავლის ძნელ პროცესში“ — ასე აფასებენ დიალოგის შედეგებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა პოლიტიკური მოღვაწენი. ისინი მონაწილეობდნენ ამერიკის ახალგაზრდა პოლიტიკურ მოღვაწეთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის ორმხრივ სემინარში.

სემინარი ხუთ დღეს გაგრძელდა. იგი დაიწყო თბილისში და დამთავრდა ქობულეთში. სემინარის მონაწილენი მუშაობდნენ ორ სექციაში, რომლებიც განიხილავდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებსა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემებს. გარდა ამისა, მათ მიეცათ ფართო შესაძლებლობა გასცნობოდნენ ჩვენს რესპუბლიკას, მისი ახალგაზრდობის ცხოვრებას. სტუმრები იყვნენ კომკავშირელთა ოჯახებში, გაეცნენ ქართველი მოწაფეების სწავლებას, იმოგზაურეს მცხეთაში, მახარაძეში, ნატანებში.

ორივე დელეგაციამ გამოთქვა სურვილი გაგრძელდეს და განვითარდეს ასეთი კონტაქტები. მათმა ხელმძღვანელებმა თქვეს: კარგის მომასწავებელი ნიშანია ის, რომ დიალოგს საქართველოში განაგრძობდნენ სწორედ ორი ქვეყნის ახალგაზრდა პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებზეც დამოკიდებული იქნება მომავალში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა.

სემინარის დახურვას ქობულეთში დაესწრო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე.

კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის, მისი მშვიდობიანი ათვისებისათვის

1985 წლის 12 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიამ მიიღო რეზოლუცია კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შესახებ. დოკუმენტი მოამზადეს მთელი რიგი მიუმხრობელი, აგრეთვე სხვა ქვეყნების დელეგაციებმა საბჭოთა კავშირის დელეგაციის აქტიური მონაწილეობით. იგი გახდა სესიაზე კოსმოსური სივრცის არამილიტარიზაციის პირობებში მის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირის წინადადების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი კოსმოსის საკითხებზე რეზოლუციების პროექტების განხილვის შედეგი.

რეზოლუცია მოიწონეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 151 ქვეყნის ხმებით, რაც არაორაზროვნად გამოხატავს საერთაშორისო გაერთიანების კოლექტიურ ნებას — თავიდან აიცილოს გამალებული შეიარაღება კოსმოსში, უზრუნველყოს მისი მშვიდობიანი ათვისება სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობით. კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გრენადამ. ქვემოთ მოგვყავს მიღებული დოკუმენტის ტექსტი.

კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება

გენერალური ასამბლეა, რომელიც

შთაგონებულია დიდი პერსპექტივებით, რომლებიც კაცობრიობის წინაშე ისახება კოსმოსში ადამიანის შეღწევის შედეგად,

აღიარებს მთელი კაცობრიობის საერთო დაინტერესებას, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა და გამოყენება წარმოებდეს მშვიდობიანი მიზნით,

კვლავ ადასტურებს, რომ კოსმოსური სივრცის, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების, კვლევა და გამოყენება უნდა ხორციელდებოდეს ყველა ქვეყნის საკეთილდღეოდ და ინტერესებისათვის, მათი ეკონომიკური ან სამეცნიერო განვითარების დონის მიუხედავად, და მთელი კაცობრიობის კუთვნილება უნდა იყოს,

ადასტურებს შემდეგ ყველა სახელმწიფოს ნებას, რომ კოსმოსური სივრცის, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების, კვლევა და გამოყენება ხორციელდებოდეს მშვიდობიანი მიზნით,

შეახსენებს, რომ კოსმოსური სივრცის, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების, კვლევისა და გამოყენებისათვის სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა III მუხლით იკისრეს ვალდებულება განახორციელონ საქმიანობა კოსმოსური სივრცის, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების, კვლევისა და გამოყენებისათვის საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის და საერთაშორისო თანამშრომლობის და ურთიერთგაგების განვითარების ინტერესებისათვის,

კვლავ ადასტურებს, კერძოდ, ზემოხსენებული ხელშეკრულების IV მუხლს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას არ გაიყვანონ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ბირთვული იარაღით ან ყოველგვარი სხვა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღით აღჭურვილი რაიმე ობიექტები, არ დადგან ასეთი იარაღი ციურ სხეულებზე და არ განალაგონ ასეთი იარაღი კოსმოსურ სივრცეში რაიმე სხვა გზით,

კვლავ ადასტურებს აგრეთვე გენერალური ასამბლეის მეათე სპეციალური სესიის, განიარაღებისადმი მიძღვნილი პირველი სპეციალური სესიის საბოლოო დოკუმენტის მე-80 მუხლს, რომელშიც აღნიშნულია, რომ კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის უნდა განხორციელდეს შემდგომი ღონისძიებანი და მოეწყოს შესაბამისი საერთაშორისო მოლაპარაკება ხელშეკრულების სულისკვეთების შესაბამისად,

იმოწმებს თავის 1981 წლის 9 დეკემბრის № 36/97-ს და 36/99, აგრეთვე 1982 წლის 9 დეკემბრის № 37/83, 1982 წლის 13 დეკემბრის № 37/99-დ (დ-ლათინური ასოა), 1983 წლის 15 დეკემბრის № 38/70 და 1984 წლის 12 დეკემბრის № 39/59 რეზოლუციებს,

სერიოზულად შეშფოთებულია იმით, რომ მთელ კაცობრიობას ემუქრება გამალებული შეიარაღება კოსმოსურ სივრცეში, და კერძოდ, იმ საფრთხის გამო, რომ უშიშროებას მოკლებული ახლანდელი მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს იმ მოვლენათა შედეგად, რომლებსაც შეუძლიათ კიდევ უფრო გამოუთხარონ ძირი საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას, შეანელონ საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა და შეუქმნან დაბრკოლებანი კოსმოსური სივრცის მშვიდობიან გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას,

ითვალისწინებს ზემოხსენებული ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების დროს და მისი მიღების შემდეგ წევრი სახელმწიფოების მიერ გამოხატულ ფართო დაინტერესებას იმის უზრუნველყოფით, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა და გამოყენება ხორციელდებოდეს მშვიდობიანი მიზნით, და აღნიშნავს გენერალური ასამბლეისათვის განიარაღებისადმი მიძღვნილ შის მეათე სპეციალურ სესიაზე, და განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ მის მორიგ სესიებსა და კონფერენციებზე წარმოდგენილ წინადადებებს,

აღნიშნავს დიდ შეშფოთებას, რომელიც გამოხატა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების მეორე კონფერენციამ კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების გავრცელების გამო, და რეკომენდაციებს, რომლებიც მიეცათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენტურ ორგანოებს, კერძოდ გენერალურ ასამბლეას, აგრეთვე განიარაღების კომიტეტს,

დარწმუნებულია, რომ საჭიროა შემდგომი ღონისძიებანი კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის,

აღიარებს, რომ კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შესახებ მრავალმხრივი მოლაპარაკების კონტექსტით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივმა მოლაპარაკებამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ასეთი მიზნის მიღწევაში მეათე სპეციალური სესიის საბოლოო დოკუმენტის 27-ე მუხლის შესაბამისად,

კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ 1985 წელს დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივი მოლაპარაკება კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების — სტრატეგიული და საშუალო სიშორის შეიარაღების — ურთიერთდაკავშირებულ საკითხთა კომპლექსის თაობაზე იმ მიზნით, რომ როგორც იყო გამოცხადებული, შეიმუშაონ ეფექტიანი მორიგებანი, კერძოდ, კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შესახებ,

სურს, რომ ამ მოლაპარაკებას რაც შეიძლება მალე მოჰყვეს კონკრეტული შედეგები, როგორც ამას დაბეჯითებით მოითხოვდა № 39/59 რეზოლუცია,

ცნობად იღებს განიარაღების კონფერენციის მოხსენებას,

მიესალმება იმას, რომ განიარაღების კონფერენციამ თავისი 1985 წლის სესიის მიმდინარეობის დროს, განიარაღების თაობაზე მოლაპარაკების ამ ერთადერთი მრავალმხრივი ორგანოს მოლაპარაკების მოწყობის მოვალეობის შესასრულებლად შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც, როგორც პირველ ნაბიჯს ამ ეტაპზე, შეისწავლის კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების საკითხებს,

შეგნებული აქვს, რომ განიარაღების კონფერენციის ფარგლებში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი კონკრეტულ წინადადებებზე იმის შესახებ, რომ ხელმეორედ შეიქმნას ამ საკითხის სპეციალური კომიტეტი განიარაღების კონფერენციის 1986 წლის სესიის დროს, და

1. **შეახსენებს** ყველა სახელმწიფოს იმ მოვალეობას, რომ თავიანთ კოსმოსურ საქმიანობაში თავი შეიკავონ ძალის გამოყენებით დამუქრებისაგან, ან მისი გამოყენებისაგან;

2. **ადასტურებს,** რომ ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება მოითხოვს, რომ კოსმოსურ სივრცეს იყენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის, და რომ იგი არ გახდეს გამალებული შეიარაღების ასპარეზი;

3. **ხაზგასმით აღნიშნავს,** რომ საერთაშორისო გაერთიანებამ უნდა განახორციელოს შემდგომი ღონისძიებანი და მიიღოს შესაბამისი და ეფექტიანი დებულებანი კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის;

4. **მოუწოდებს** ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც კოსმოსურ დარგში დიდი პოტენციალი აქვთ, აქტიურად შეუწყონ ხელი კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების მიზნის მიღწევას და დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა თავიდან აიცილონ გამალებული შეიარაღება კოსმოსურ სივრცეში საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარების ინტერესებისათვის;

5. **სთხოვს** გენერალურ მდივანს წინადადება მისცეს წევრ სახელმწიფოებს წარმოადგინონ თავიანთი აზრი გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს, რომ სასურველია შეიქმნას შესაბამისი მექანიზმი ამ მიზნით, და მოხსენება წარმოუდგინოს გენერალურ ასამბლეას მის ორმოცდამეერთე სესიაზე;

6. **კვლავ ადასტურებს,** რომ განიარაღების კონფერენციას, როგორც განიარაღების თაობაზე მოლაპარაკების ერთიან მრავალმხრივ ფორუმს უპირველესი როლი ეკუთვნის მრავალმხრივი შეთანხმების ან, შესაბამისად, შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკებაში ყველა ასპექტით კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის.

7. **წინადადებას აძლევს** განიარაღების კონფერენციას პირველ რიგში განიხილოს კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების საკითხი;

8. **წინადადებას აძლევს** აგრეთვე განიარაღების კონფერენციას გააქტიუროს ყველა ასპექტით კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების საკითხის განხილვა ყველა შესაბამისი წინადადების, მათ შორის იმ წინადადებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოდგენილი იყო სპეციალურ კომიტეტში მის 1985 წლის სესიაზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორმოცე სესიაზე;

9. **წინადადებას აძლევს შემდეგ** განიარაღების კონფერენციას კვლავ შექმნას შესაბამისი მანდატის მქონე სპეციალური კომიტეტი მისი 1986 წლის სესიის დასაწყისში, რათა მოაწყოს მოლაპარაკება შეთანხმების ან, შესაბამისად, შეთანხმების დადების შესახებ ყველა ასპექტით კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის;

10. **დაბეჯითებით მოუწოდებს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს ინტენსიურად და კონსტრუქციული სულისკვეთებით აწარმოონ ორმხრივი მოლაპარაკება, რომლის მიზანია კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის შეთანხმების უსწრაფესი მიღწევა, და პერიოდულად მიაწოდონ განიარაღების კონფერენციას ინფორმაცია ორმხრივი მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, რათა ხელი შეუწყონ მის მუშაობას;

11. **მოუწოდებს** ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც დიდი პოტენციალი აქვს კოსმოსურ დარგში, თავი შეიკავონ თავიანთ საქმიანობაში, რომელიც ეხება კოსმოსურ სივრცეს, ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება შესაბამისი არსებული ხელშეკრულებების დაცვას, ან კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების მიზანს;

12. **წინადადებას აძლევს** წევრ სახელმწიფოებს სულ გვიან 1986 წლის 1 აპრილს წარუდგინონ გენერალურ მდივანს თავიანთი აზრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების პრობლემათა კვლევის ინსტიტუტის იმ კვლევის მოცვის სფეროსა და შინაარსის თაობაზე, რომელიც მიმდინარეობს კოსმოსურ სივრცესთან დაკავშირებული განიარაღების პრობლემებისა და კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების გავრცელების შედეგების შესასწავლად, და სთხოვს გენერალურ მდივანს წევრ სახელმწიფოთა ზემოხსენებული აზრი განსახილველად გადასცეს განიარაღების დარგში კვლევის საკონსულტაციო საბჭოს, რათა მან, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების პრობლემათა კვლევის ინსტიტუტის მეურვეთა საბჭომ, მისცეს ინსტიტუტს ისეთი შესაძლო რეკომენდაციები მისი კვლევის წარმართვის თაობაზე, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ამ აზრიდან;

13. **წინადადებას აძლევს** განიარაღების კონფერენციას წარუდგინოს მოხსენება ამ საკითხის განხილვის შესახებ გენერალურ ასამბლეას მის ორმოცდამეერთე სესიაზე;

14. **სთხოვს** გენერალურ მდივანს განიარაღების კონფერენციას გაუგზავნოს ყველა დოკუმენტი, რომლებიც ეხება გენერალური ასამბლეის მიერ თავის მეორმოცე სესიაზე ამ საკითხის განხილვას;

15. **ადგენს** შეტანილ იქნეს მის ორმოცდამეერთე სესიის დღის წესრიგში პუნქტი „კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება“.

◆ ავსტრია-სსრ კავშირი

მასტაბილიზებელი ფაქტორი

ვენა. ავსტრიის კომპარტიას უაღრესად საჭიროდ მიაჩნია კიდევ უფრო განავითაროს და გააფართოვოს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეს განაცხადა, ავსტრიის გემთსაშენებელი მრეწველობის ცენტრში — ქალაქ კორნოიბურგში გამართულ პარტიულ კონფერენციაზე გამოსვლისას, ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარე ფ. მურიმ. ამ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო სექტორისათვის, აღნიშნა მან.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობა ვითარდება თანამშრომლობის გრძელვადიანი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებიც ემყარება ორმხრივი სარგებლობისა და ავსტრიის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს სრული პატივისცემის პრინციპებს, — თქვა ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარემ. სავაჭრო ურთიერთობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი მასტაბილიზებელი ფაქტორია ავსტრიის მრეწველობისათვის და მნიშვნელოვნად ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას. მაგალითად, შარშან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წილად მოვიდა უდიდესი ფოლადსამსხმელო გაერთიანების — „ფესტ-ალპინეს“ ექსპორტის 40 პროცენტი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა შეკვეთებს ლინცისა და კორნოიბურგის გემთსაშენებელი ქარხნებისათვის.

ეს ფაქტები, აღნიშნა ფ. მურიმ, სავსებით ადასტურებს ავსტრიის კომუნისტური პარტიის სწორ პოლიტიკას, რომლის მიზანია ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის გაფართოება სოციალისტურ სახელმწიფოებთან. ავსტრიის კომპარტია კვლავაც აქტიურად შეუწყობს ხელს მის განვითარებას.

მოკლედ

◆ პარიზი. მმართველი წრეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩირქი მოსცხონ კომუნისტებს, პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქციონ ისინი, განაცხადა პავერში გამართულ მასობრივ მიტინგზე საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა, გაზეთ „ლუმანიტეს“ პოლიტიკურმა დირექტორმა როლან ლერუამ. მაგრამ ეს ხრიკები ჩასაფუშად არის განწირული.

◆ დამასკო. ბაჰრეინის პატრიოტულმა ორგანიზაციებმა — ბაჰრეინის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა და ბაჰრეინის სახალხო ფრონტმა აქ გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც მოითხოვენ, რომ ამ არაბული ქვეყნის ხელისუფლებამ შეწყვიტოს პროგრესულ და დემოკრატიულ მოღვაწეთა დევნა, გააუქმონ რეპრესიული კანონები, გაათავისუფლონ დილეგებიდან პოლიტიკური პატიმრები.

◆ ფრიტაუნი. სიერა ლეონეში შეიქმნა ოქროსა და ალმასების სახელმწიფო სამმართველო. მისი დახმარებით სახელმწიფო კონტროლს გაუწევს ძვირფასი მინერალების მოპოვებას, შეფასებას, შესყიდვას და ექსპორტს, აგრეთვე უზრუნველყოფს მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული მტკიცე ვალუტის ხაზინაში შემოსვლას.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

14 დეკემბერი ● საკდესი იუწყება

გენერალური ასამბლეის სესიაზე

აღიკვეთოს ბირთვული სამზადისი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ საჭიროა შეიქმნას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონები ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, მხარი დაუჭირა ლათინურ ამერიკაში ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების განმტკიცებას.

ამ საკითხებზე მიღებულ რეზოლუციათა სერიაში საერთაშორისო გაერთიანებამ აღნიშნა, რომ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბირთვული სამზადისი, რომლებიც საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას ემუქრებიან.

სერიოზული წუხილით გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნა, რომ ისრაელს ჯიუტად არ სურს იკისროს ვალდებულება, რომ არ აწარმოებს და არ შეიძენს ბირთვულ იარაღს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, უარს ამბობს ისრაელის ბირთვული დანადგარები დაექვემდებაროს ამ სააგენტოს კონტროლს.

ისრაელ აგრესორებსა და სამხრეთაფრიკელ რასისტებს იცავენ მხოლოდ ერთი მუჭა დასავლელი მფარველები და დამქაშები.

ლეგენდარული სვეტი

ინდოეთი. დელის მრავალრიცხოვან ღირსშესანიშნაობათა შორის, რომლებიც ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების აღტაცებას იწვევს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლითონის სვეტი (სურათზე). იგი ექვს ტონას იწონის და ოდითგანვე განიცდის წვიმისა და ქარის ზემოქმედებას, მაგრამ ათასხუთასი წლის წინათ გამოდნობილ ლითონს ჟანგი არ მიჰკარებია. ასე უკვდავყვეს თავიანთი ნახელავი ძველინდოელმა ოსტატებმა. რაც სვეტი არსებობს, ადამიანები მას ეხვევიან და შეხებისაგან იგი სულ ერთიანად ბზინავს. ლეგენდის თანახმად, ვინც მას ხელებს შემოხვევს ბედნიერი იქნება.

საკდესის ფოტო.

საინტერესო პროექტი

პანამის არხის მომავალი

სამოცდაათი წლის წინათ აგებული პანამის არხი უკვე დიდი ხანია ვერ აუდის საზღვაო ტრანსპორტის გაზრდილ ნაკადს. არხის დიდი ნაკლია ისიც, რომ მასში გავლა უჭირთ თანამედროვე დიდტონაჟიან გემებს.

შეერთებული შტატების მიერ ახლანდელი პანამის ტერიტორიაზე 1904 წელს დაწყებული სანაოსნო გზის მშენებლობა, რომელიც რამდენჯერმე უმოკლებს გზას ხომალდებს ევროპიდან ამერიკის წყნარი ოკეანის ნავსადგურებამდე, 1914 წელს დასრულდა. მაგრამ კიდევ ექვსი წელი დასჭირდა იმას, რომ 80 კილომეტრამდე სიგრძის არხი მთლიანად ამოქმედებულიყო. იმ დროისათვის არხი ერთ-ერთი უნიკალური საინჟინრო ნაგებობა იყო, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი სამშენებლო ტექნიკის მეტად შეზღუდულ შესაძლებლობებს. მოძრაობა არხში, რომელიც ზღვის დონეზე მაღლაა აგებული, ექვსი დაწყვილებული რაბების სისტემის მეშვეობით ხორციელდება და მის გავლას 4-8 საათი სჭირდება. საშუალო გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 36 გემს შეადგენს. ბოლო წლებში ყველაზე აქტიური ნავიგაციის პერიოდში გრაფიკის მაქსიმალური შემჭიდროების შედეგად ეს რიცხვი 48-მდე გაიზარდა.

ამიტომ არსებული არხის გაფართოების ან ახლის მშენებლობის საკითხი დიდი ხანია მომწიფდა. ამით განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია. პანამის არხში გამავალი მთელი სატრანსპორტო ნაკადის 70 პროცენტამდე მოდის ტვირთზე, რომელიც შეერთებულ შტატებში მიაქვთ ან ამერიკის ერთი სანაპიროდან მეორეზე გადააქვთ. ახალი არხი არანაკლებ ხელსაყრელი იქნებოდა იაპონიისთვისაც, რომლის სავაჭრო გემები არხის მომსახურებით მოსარგებლე ყველა გემების მეოთხედს შეადგენენ. ცხადია, ახალი არხის გაყვანის წინააღმდეგი არ არის თვით პანამაც, რომლის სახელმწიფო ხაზინას არხი სოლიდურ შემოსავალს აძლევს და წელიწადში 300 მილიონ დოლარს აღწევს.

ხანგრძლივი წინასწარი მოლაპარაკებების და განხილვის შემდეგ ამა წლის სექტემბრის დამლევს იაპონიის და პანამის საგარეო საქმეთა მინისტრებმა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ კვლევით სამუშაოებს პანამის ტერიტორიაზე ორი ოკეანის დამაკავშირებელი ახალი სანაოსნო გზის მშენებლობის მიზნით. თავდაპირველი გეგმის თანახმად, ახალი არხი აიგება ახლანდელი არხის დასავლეთით 15 კილომეტრზე. სპეციალისტთა აზრით, არხი უნდა აშენდეს ზღვის დონეზე, რათა საჭირო არ გახდეს ძვირადღირებული რაბების სისტემის აგება, რომელიც ამავე დროს ზრდის გემების გავლის ხანგრძლივობას ერთი სანაპიროდან მეორემდე. ვარაუდობენ, რომ ახალი არხი გაცილებით განიერი და ღრმა იქნება. ეს უზრუნველყოფს მასში 500 ათას ტონამდე წყალწყვის გემების, მათ შორის სუპერტანკერების გავლას, ამჟამად კი არხით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ 65 ათას ტონამდე წყალწყვის ხომალდებს.

წინასწარი შეფასებით, ახალი არხის მშენებლობა სულ ცოტა 20 მილიარდი დოლარი დაჯდება და 12-14 წელიწადს გასტანს.

თბილისის კინოს სახლის დიდ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ნამუშევრების IV საკავშირო კვირეული-დათვალიერება.

კინოფორუმის გახსნისას რესპუბლიკის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. დვალიშვილმა კინოს ახალგაზრდა მუშაკებს, სტუმრებს, მაყურებლებს მიულოცა კინოხელოვნების ამ დღესასწაულის დაწყება. მან იმედი გამოთქვა, რომ ახლანდელი დათვალიერებაც, რომლის მონაწილენი მოწოდებული არიან განსაზღვრონ საბჭოთა ეკრანის ხვალინდელი დღე, დაასახელებს კინემატოგრაფიული ცვლის ახალ, ნიჭიერ წარმომადგენლებს.

ა. დვალიშვილმა შეკრებილთ წარუდგინა სამი ჟიური, რომლებსაც ხელმძღვანელობენ: მხატვრული ფილმებისას — რეჟისორი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. მასლენიკოვი, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმებისას — რეჟისორი, მოსკოვის კომკავშირის პრემიის ლაურეატი ა. ოპრიშკო, მულტიპლიკაციური ფილმებისას — რეჟისორი ვ. ტარასოვი.

— ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებების IV სა-

ახალგაზრდულ კინოორბიტაზე

საბჭოთა ეკრანის მომავალი

კავშირო კვირეულ-დათვალიერება მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სკკპ XXVII ყრილობის სამზადისის პერიოდში, — თქვა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის სახკინოს მთავარმა რედაქტორმა ა. მედვედევმა. — ფორუმის ამოცანაა განსაზღვროს, თუ რამდენად ეხმიანება კინოს მუშაკთა ახალგაზრდა ცვლა იმ დიდ მოთხოვნებს, რომლებსაც ცხოვრება უსახავს საბჭოთა კინოხელოვნებას.

შეკრებილთ მიესალმნენ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. ნახაბცევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე გ. რატნიკოვა და ჟიურის თავმჯდომარეები.

ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების ნამუშევართა IV საკავშირო კვირეულ-დათვალიერების გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

* * *

ნიკოლოზ სკუიბინის სრულმეტრაჟიანი ფილმით — „პოტაპოვის ცხოვრებიდან" — გაიხსნა თბილისის კინოს სახლის დიდ დარბაზში საქართველოს დედაქალაქში მიმდინარე ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ნამუშევრების IV სრულიად საკავშირო კვირეულ-დათვალიერების მხატვრული ფილმების საკონკურსო პროგრამა.

— დათვალიერების მუშაობის პირველ დღეს, ძირითადად ნაჩვენები იყო კინოსტუდია „მოსფილმში" გადაღებული და ექსპერიმენტულ-ახალგაზრდულ შემოქმედებით გაერთიანება „დებიუტში" ახალგაზრდა მოსკოველი რეჟისორების მიერ შექმნილი კინოფილმები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მხატვრული ფილმების ჟიურის წევრმა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ვ. ნახაბცევმა.

კინოს სახლის მცირე დარბაზში ნაჩვენები იყო ლენინგრადის სამეცნიერო ფილმების კინოსტუდიამ, სვერდლოვსკის კინოსტუდიისა და მის კრასნოიარსკის ფილიალში, აღმოსავლეთ ციმბირის, ნოვოვოლჟსკის, დონის როსტოვის, ჩრდილოეთ კავკასიის კინოქრონიკის სტუდიებში, კინოსტუდია „ბელარუსფილმში" შექმნილი დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები და მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა.

იმავე დღეს დათვალიერების მონაწილეები და სტუმრები იყვნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, შეხვდნენ თბილისის საწარმოთა შრომით კოლექტივებს. საღამოს მათ ნახეს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრ-სტუდიის სპექტაკლი „ანა ფრანკის დღიური".

ტაირ სალახოვი:

„ეს ღირსეული საჩუქარია"

დიდ ინტერესს იწვევს თბილისში გახსნილი რესპუბლიკის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას ეძღვნება.

დამთვალიერებლები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, ივსება შთაბეჭდილებათა წიგნი... აი, ტაირ სალახოვი — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი... იგი სულ ორიოდე დღით ჩამოსულა თბილისში და, აბა, როგორ იქნებოდა, ეს ფერთა ზეიმი არ ეხილა.

შესანიშნავი ფერმწერის აზრი, დაგვეთანხმებით, ფრიად საყურადღებოა რესპუბლიკის მხატვრებისათვის, ყველასთვის, ვინც ქართული სახვითი ხელოვნების დღევანდელი დონით არის დაინტერესებული.

ტაირ სალახოვიც „კომუნისტის" კორესპონდენტის თხოვნაზე სიამოვნებით გვიზიარებს ამ აზრს:

— საგულისხმოა, რომ გამოფენაზე ყველა თაობის წარმომადგენელს ვეცნობით, უჩა ჯაფარიძეს (რომელიც დღეს თავის ბინაზე ვინახულე და, თქვენი გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო) გვერდს უმშვენებენ საშუალო თაობის ნიჭიერი ოსტატები, მაძიებელი ახალგაზრდობა. მე სიამოვნებით გამოვყოფდი ზოგიერთ მათგანს, მაგალითად: თვითონ უჩა ჯაფარიძის, ზურაბ ნიჟარაძის, დიმიტრი ერისთავის, გივი თოიძის, ხასან ინაიშვილის, რადიშ თორდიას, გივი ყანდარელის, ვლადიმერ კანდელაკის, ირაკლი სუთიძის, ლია ბუღაძის, თემურ თათანაშვილის, ნანი შალიკაშვილის ნამუშევრებს...

გამოფენა საყურადღებოა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, და იმ ტრადიციების ერთგულებით, რომლითაც ასე მდიდარია ქართული სახვითი ხელოვნება. ექსპოზიცია თემატურადაც მრავალფეროვანია, და რა გასაკვირია, რომ მასში მთავარი დღევანდელობაა, ოღონდ ერთს კი ვისურვებდი, მეტადრე ახალგაზრდების გასაგონად: უფრო ღრმად შეჭრაა საჭირო ცხოვრების შუაგულში, შესისხლხორცებაა საჭირო იმ მოვლენებისა, რომლებიც ასე უამრავია დღეს და დიდ ძალისხმევას მოითხოვს შემოქმედისაგან.

გულწრფელად მიხარია, რომ საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატებს მართლაც ღირსეული საჩუქარი მოუმზადებიათ ჩვენი პარტიის დიდი ფორუმისათვის. აქედან ღირსეულთა შორის ღირსეული შეირჩევა და, ჩემი აზრით, ნამდვილად დაამშვენებს საკავშირო გამოფენას, რომელიც თებერვლის დამდეგს გაიხსნება მოსკოვში. დაამშვენებს არანაკლებად, ვიდრე ეს იყო დიდი სამამულო ომის დამთავრების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

ვისურვებდი, რომ ქართველი მხატვრები ასე ხელდამშვენებულნი შეხვედროდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავსაც. ამისათვის კი აქედანვეა მზადება საჭირო.

მეტი რა გითხრათ? ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ამ გალერეის დარბაზების სტუმრობა, რადგან მახსენდება 1958 წელი, როდესაც ამიერკავკასიის მხატვართა აქ გამოფენილ ნამუშევრებს შორის ჩემი პირველი ნაწარმოებებიც იყო. ერთად ვიყავით წარდგენილი მე და ჩემი მეგობრები, დღეს უკვე აღიარებული ოსტატები: ზურაბ წერეთელი, ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, ალექსანდრე ბანძელაძე და სხვები. დრო გავიდა, ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდ წარმატებებს მიაღწია, რაც მე გულწრფელად მახარებს.

წიგნიდან: აკინძული მოგონებები

სიკვდილი ვერ დაეწევა დიდოსტატს

1967 წელს დასრულდა კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის გამოცემა. მერვე ტომი მწერალთა კავშირში მომიტანა და მისახსოვრა ასეთი წარწერით: „თბილისი, 1968 ახალის წლის პირველ დღეს ჩემს ძველ მეგობარს, შესანიშნავ მწერალს, სერგი ჭილაიას დიდი პატივისცემითა და ძმური სიყვარულით. კონსტანტინე გამსახურდია". იმ დღეს ბევრი ვისაუბრეთ. მწერალი აღსარებასავით ჰყვებოდა: — ჩემს სულს ზეიმი მაშინ ეწყეოდა, როცა რომელიმე ნოველასა თუ რომანს დავასრულებდი, მაშინ ვხარობდი ბავშვივით, უკანასკნელ წერტილს რომ დავუსვამდი ახალ ნაწარმოებს, მაშინ გავთავისუფლდებოდი ჩემი გმირების სულიერი ტყვეობისაგან და ბედნიერად ამოვისუნთქავდი. ასეთი ბედნიერი დღეები ბევრი მქონია. ყველაზე მეტად ეს განვიცადე, როცა ამ რვატომეულის დაბეჭდვა მოვამთავრე. აქ თითქმის ყველაფერია, რაც ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართულ სიტყვასთან ჭიდილში შემიქმნია. თუმცა სრულიად შეგნებულად ყველაფერი არ შემიტანია. ამ ტომებში ერთიანი და დიდი საქართველოს მეხოტბედ და მეაბჯრედ მომაქვს თავი, სულ ერთია წარსულის თემაზეა შექმნილი თუ თანამედროვე საქართველოს ეძღვნება იგი. მე შეგნებულად წავშალე მიჯნა ძველებური გაგებით, ისტორიულ და თანამედროვე რომანთა შორის.

„დიდოსტატის მარჯვენა" ერთი ამოსუნთქვით დავწერე, ვითარცა პოემა. „დავით აღმაშენებელს" კი 25 წელი მოვანდომე. ისტორიული თემა პირობითი ცნებაა. ყოველ დიდ ისტორიულ პიროვნებაზე დაწერილი რომანი თანამედროვეა, რადგან იგი თანამედროვეთა სამსახურისათვის არის მოწოდებული. ევროპის მწერლობასა და მხატვრობას თვალი რომ გადავავლოთ, ნამდვილი ხელოვნება არასოდეს ყოფილა მხოლოდ აწმყოთი განსაზღვრული. დანტე, რაფაელი, შექსპირი, გოეთე ხან ბიბლიურ თემებს ამუშავებდნენ, ხანაც ანტიკურ თემებს. ეპოქის სულის გამოჩინება თანაბრად შეუძლიათ ისტორიულ თემებზე და თანამედროვეობაზე დაწერილ რომანებს.

— თქვენს რვატომეულში ორი მოზრდილი ტომი კრიტიკულ წერილებსა და ესსეებს უჭირავს, ამავე დროს თავად თქვენ გამუდმებული შეხლა-შემოხლა გქონდათ კრიტიკოსებთან, რა აზრისა ხართ საერთოდ კრიტიკაზე?

— ჩემის აზრით, ნამდვილი კრიტიკა ისეთივე ხელოვნებაა, როგორც რომანისტიკა, ლირიკა, დრამატურგია. კრიტიკის ჟანრი მხოლოდ მაღალხარისხოვან ლიტერატურებს გააჩნიათ. კრიტიკის დიდი და სასარგებლო მნიშვნელობის ჯეროვნად არდაფასება უაზრობაა. მე პირადად უნდა განვაცხადო: ზოგიერთმა ჩვენმა კრიტიკოსმა საგრძნობი როლი შეასრულა ჩემს შემოქმედებაში, მე მადლობელი ვარ ისეთი კრიტიკოსების, რომელნიც პრინციპული პოზიციებიდან მებრძოდნენ. არც მათ ვემდური, რომელნიც რაიმე მიზეზით ჩემ მიმართ გაავებულნი თავს მესხმოდნენ ხოლმე. როგორც პირველნი, ისე მეორენი აღვივებდნენ ჩემში შემოქმედების ენერგიას. დავა აცხოველებს ლიტერატურას საერთოდ და აღრმავებს შემოქმედებისადმი ინტერესს. რასაკვირველია, მე აქ არ ვგულისხმობ დასმენით, დაბეზღებით კრიტიკას, კრიტიკოსს გარდა დიდი განათლებისა და გემოვნებისა, ესაჭიროება დიდსულოვნება და კაიკაცობა, მწერლებისადმი სიყვარული და ობიექტურობა, — ნიჭი — ნიჭია, მარტო ნიჭით ვერ გახვალ ფონს. ნიჭი თავად ღმერთისაგან ბოძებული დიდი განძია, მაგრამ მარტო ნიჭი არაფერს იძლევა უკვდავს, თუ იგი შრომით გამოდეხილი ოფლით არ შეადუღაბე. ოფლის ღვრას და უძილო ღამეებს მოითხოვს როგორც საერთოდ მწერლობა, ასევე კრიტიკოსობა.

— თქვენ ამ რვატომეულში ბევრგან აცხადებთ, მე ჩემი გეზი მქონდა მწერლობაში, ჩემი პრინციპი პირველი დღიდანვე არჩეული. რას გულისხმობთ ამ „თქვენს გეზში"?

— დიახ, მე ჩემი ლიტერატურული და ენობრივი პოზიცია გამაჩნია და თავი ამით მომაქვს. თავიდან დავიწყოთ. მე ენა სოფლის მითოლოგიის სამყაროში ავიდგი, დედაჩემისა და ჩემი გამზრდელი ძიძისაგან მოსმენილ ლეგენდებსა და ზღაპრებში, მე ასე მგონია, მსოფლიო მწერლობის ფუძე მითოლოგიაა. ამ წყაროს დავეწაფე, ოღონდ ქართულს, უფრო ზუსტად კოლხურ მითოლოგიას. ეს საოცარი სამყარო ამოუწურავ საზრდოს აძლევს მწერლის ფანტაზიას და მე მას უხვად ვიყენებდი ყველგან, სადაც ამის საჭიროება მესახებოდა. განსაკუთრებით ოციან წლებში, როცა მე, ევროპაში განათლებამიღებული, ფილოსოფიური მისტიციზმით ვიყავი გატაცებული. ამ ნიადაგზე მოვარგე ქართული მითოლოგია, წარმართობა, ქრისტიანული მისტიციზმი და ევროპული მოდერნიზმი, მაგრამ უკიდურესი დეკადენტი არასოდეს ვყოფილვარ.

ახლა რაც შეეხება ჩემს ენობრივ პოზიციას, აქაც ჩემი გეზი მაქვს მინიშნებული. ჩემი ლიტერატურული და ენობრივი პოზიცია ლიტერატურული სინამდვილით იყო ნაკარნახევი — მეოცე საუკუნეში, თვით ჩვენმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ მოითხოვა გადაგვესინჯა მწერლობაში ის მდგომარეობა, რომელიც ჩემს თაობას დახვდა. ილიას, აკაკის და ვაჟას სიკვდილის შემდეგ ჩამომდგარი ლიტერატურული კრიზისი აშკარა იყო, ეს ჯერ კიდევ კიტა აბაშიძემ და არჩილ ჯორჯაძემ შენიშნეს და ახალი ევროპეიზმის გზა იქადაგეს. ტეტიათა მოტრფიალეთა კუთხურმა პროვინციალიზმმა ქართული მწერლობა ეთნოგრაფიულ ზღუდეებში მოამწყვდია. საჭირო იყო ამ პროვინციული სამანების გარღვევა. ევროპული სტანდარტების გვერდით უნდა დამდგარიყო ქართული მწერლობა, ერთ-ერთმა პირველმა აქეთკენ ავიღე გეზი. ასე მოვიქეცით ქართული ენის მიმართაც. მე მწამდა და მჯეროდა, რომ ერთიანი ქართული ენის დადგენაში საქართველოს ყველა კუთხეს თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს. ისე როგორც ჩვენი მკლავმაგარი დიდი მეფეები იბრძოდნენ და ილვწოდნენ ფეოდალური პარტიკულარიზმისაგან დაქსაქსული მიწების გაერთიანებისათვის, ქართულ ენაზე მეტყველი ოსტატიც უნდა ეცადოს გააერთიანოს ქართულ დიალექტებში გაბნეული მარგალიტები ხალხური მეტყველებისა, ახალი ჟღერადობა და ახალი სიცოცხლე მიანიჭოს მათ. მე მიზნად დავისახე ქართული ენის ეტიმოლოგიური მარაგის გამდიდრება მისი ძირეული დიალექტების მეოხებით, ამ მიზნით მთელ საქართველოში ვმოგზაურობდი და ვნადირობდი ქართულ სიტყვებზე, ერთი მხრივ, ქართული ენის გამდიდრება ჩვენი უძველესი და უბრწყინვალესი წინაპრების რუსთაველის, ვისრამიანის მთარგმნელის, მერჩულეს, მთაწმინდელების, საბა ორბელიანის ძირებთან ზიარებით და, მეორე მხრივ, ქართული მითოლოგიის, ქართული ზღაპრების, მრავალსახიერი ქართული დიალექტებისა და კილოკავების ულევი ეტიმოლოგიური მარაგის გამოყენება — ასეთი იყო და არის ჩემი ენობრივი პოზიცია, აქვე დავუმატებდი: ჩემი რომანების გმირებს, რომლებიც მოქმედებენ დიდ ევროპულ ქალაქებში, სჭირდებოდათ მეტყველებაში ქალაქური ურბანისტული ინვენტარიც. მე განზრახ არ მოვრიდებივარ გერმანულ-რომანული წარმოშობის ბარბარიზმებს. ამ გზით ქართულ ენას ერთგვარი ინტერნაციონალური იერი მივეცი. არაფერი ეროვნული საყურადღებო არ არის, თუ მას საერთაშორისო უნივერსალური მნიშვნელობა არ მივანიჭეთ. ამ პრინციპს ვადექი მე და ვიცავდი მწერლობაში. რვატომეული — ჩემი სულის ეს მონაწურია ამის დასტური. ყველაფერი ეს ჩვენმა დრომ და ჩემმა მეგობრებმა შემაძლებინეს, რადგან დაფნის გვირგვინი კი არა, ეკლის გვირგვინი მეხურა მე მარადჟამს ჩემს რთულ ცხოვრების გზაზე.

— ქართულ მწერლობაში მე ბევრნი მყავდნენ მეგობარნი და მხარდამჭერნი. მათში ყველაზე უფრო ახლობელი მეგობრები იყვნენ ალექსანდრე აბაშელი და პავლე ინგოროყვა. ჩვენ ერთმანეთისათვის არა მარტო ის მცირე ულუფა გაგვიყვია, რომელსაც დიდის წვალებით და შრომით ვპოვებდით, არამედ მძიმე გზაც ცხოვრებისა და მწერლობისა ერთ უღელქვეშ გვიტარებია. ასევე ახლო მეგობრობა მქონდა კონსტანტინე ჭიჭინაძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, გალაკტიონ ტაბიძესთან, ლეო ქიაჩელთან... როცა ოციანი წლების ცხარე ბრძოლები ჩაცხრა, მეგობრების რიცხვმაც იმატა. არაქართველი მეგობრებიც ბევრი მყავდა: ნიკოლოზ ტიხონოვი და ალექსი სურკოვი, ალექსი ტოლსტოი და კონსტანტინე ფედინი, მიკოლა ბაჟანი და პავლე ტიჩინა, დერენიკ დემირჩიანი და ავეტიქ ისააკიანი. სწორედ ამ მეგობრებმა შემაძლებინეს ჩემი ცხოვრების მძიმე გზაზე არ დავვარდნილიყავ და გული არ გამტეხოდა, არა, მეგობრობა დიდი ძალაა. ეს დალოცვილი რუსთაველი ბრძენთა შორის უბრძნესი კაცი იყო, სწორედ ის გვასწავლიდა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". დიახ, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია"...

* * *

სამოცდაათი წლის იუბილე რომ გადაუხადეს (1961 წელი), საოცრად მხნედ იყო, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა:

„უნდა ვაღიარო, მე არც სიბერეს ვგრძნობ და არც დაღლას. ვაჟკაცურ სიტყვას ვაძლევ ჩვენს ხალხს, ჩვენს მთავრობას კვლავინდებურად ვებრძოლო ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს".

ოთხმოცი წლის იუბილე კი ტელევიზიის მეშვეობით, უჩვეულოდ და განსაკუთრებულ გარემოში აღინიშნეთ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის იმ დიდ დარბაზში, სადაც საქართველოს უძველესი კულტურის ექსპონატებია გამოფენილი. ბატონი კონსტანტინე იჯდა ძველ სამეფო სავარძელში მეგობარ-მწერლებით გარემოცული და უსმენდა მის სადიდებლად წარმოთქმულ სიტყვებს. მათ შორის გამოირჩეოდა უკრაინელი პოეტის ვიტალი კოროტიჩის ბრძნული სიტყვა, მწერლისადმი უმაღლესი პატივისცემითა და სიყვარულით გამთბარი. თავად კონსტანტინე კი მთელი საათი ისე იჯდა, ხმა არ გაუღია. უკანასკნელ წლებში თავზე დამტყდარმა ტრაგედიამ გატეხა ეს კლდესავით მაგარი კაცი. ჯერ იყო და მეუღლე — მირანდა ფალავანდიშვილი გამოეცალა ხელიდან, მერე სრულიად მოულოდნელად ქალიშვილი — პირმშვენიერი თამარი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უნიჭიერესი, ულამაზესი და უმაცესი, ტიპიური ქართველი ქალიშვილი წაართვა სიკვდილმა. ამას მოჰყვა მძიმე ავადმყოფობა. ერთხანს მაინც არ ნებდებოდა ეს ქერპი კაცი სენს და შეუპოვრად ებრძოდა კარზე მომდგარ სიკვდილს. მაინც ავადმყოფობითა და ბედით მიყენებული ჭრილობა მელანქოლიით ავსებდა მის სულს.

პირველ საავადმყოფოში იწვა; პირველი ოპერაცია უკვე გაუკეთებინათ, მეორე ვერ გადაეწყვიტათ, ყოყმანობდნენ, ბატონი კონსტანტინე აჩქარებდა ექიმებს. ვინახულე საავადმყოფოში. კარგ გუნებაზე დამხვდა. თავად გამიბა საუბარი. იხუმრა: ჩემმა მტრებმა რაც დამაკლეს, ახლა ავადმყოფობამ უნდა მომითავსოს. მე ბრძოლებისათვის დავბადებულვარ და ასე მგონია, ვერც მტრები; ვერც მოშურნენი, ვერც სიბერე და ავადმყოფობა ასე ადვილად ვერ მომერევიან! არ დამიყრია საბოლოოდ აბჯარი. სიტყვა გაბზარა მერე, სული რომ მოითქვა, ისევ გააგრძელა, არც გოეთეს, არც ბალზაკს, არც ლევ ტოლსტოის და არც ილია ჭავჭავაძეს სცოდნიათ, თუ რას ნიშნავს მოქანცულობა, უგუნებობა და სიბერე. ჰოდა, მეც მათ გზაზე მავალი ვარ, იცოდე — ეს თქვა და ტკივილებმა შემოუტიეს. გაყუჩდა კონსტანტინე ბატონი. მერე ძილი მოერია, მე ამით ვისარგებლე და ფეხაკრეფით გამოვედი ოთახიდან. პროფესორი ვინახულე, ასე მითხრა — ეს რომ კონსტანტინე არ იყოს, მე ერთდროულად გავუკეთებდი ოპერაციას, მაგრამ აქ ვერ გავრისკე, — ორგანიზმი ძალზე დასუსტებულია. ვერა, ვერ გავბედავ მეორე ოპერაციას, ვიდრე არ გამოჯანმრთელდება და არ მომაგრდება ორგანიზმი. მერე ის იყო, მეორე ოპერაციის გარეშე გამოწერეს. ერთხანს მოჯობინდა, მწერალთა კავშირშიც დაიწყო სიარული, მერე ისევ მოერია ავადმყოფობა, მაგრამ საავადმყოფო აღარ ისურვა და შინ იწვა. თითქმის ყოველდღე ვნახულობდი, ან საქმის კურსში ვიყავ, რადგან მკურნალად თავზე ადგა საგანგებოდ მიმაგრებული ექიმი, ჩემი რძალი მარიამ დოლიძე-ჭილაია. სიკვდილის წინა დღეს ვინახულე — ჩია, გამხდარი, უფერო, თვალდარდიანი, სუფთად და კოხტად ჩაცმული და მოვლილი უდიდესი მოთმინებით იტანდა ტკივილებს. ავადმყოფობას განსაკუთრებით გაემძაფრებინა სიცოცხლისადმი წყურვილი. გაუხარდა ჩემი მისვლა.

— მამა გაბრიელი მომადგა წუხელ, კარი გადავრაზეთ და არ შემოვუშვით, სახლს უკანიდან მოუარა და ღიად დარჩენილი ფანჯრიდან შემოალაჯა, ვიძრე ჩემი სვანური ყამა და გაქრა, ვით მოლანდება. — ასე მომეჩვენა, უმძიმეს ავადმყოფობას მისი ცეცხლოვანი გული ვერ ჩაექრო.

გრძელი პირსახე, მაღალი შუბლი, კეხიანი ცხვირი, გიშრისფერი მომნუსხველი თვალები ფრიად მრისხანეს და მიუკარებელს წარმოაჩენდა მას. სიტყვის შებრუნებას და შეკამათებას არავის შეარჩენდა. ყველას გვაოცებდა თავისი დაუცხრომელი ენერგიითა და დაუოკებელი ტემპერამენტით. სიკვდილის წინა დღესაც შერჩენილი ჰქონდა ეს შეუვალი სიამაყე, მაშინ თქვა:

— მე ის დროა, ვემზადებოდე ლანდების ქვეყანაში გადასასვლელად. ამიტომ, რასაც ახლა ვიტყვი, ეს აღსარებაა ჩემი სულისა.

— ისეთ ეპოქაში მომიხდა ცხოვრება, რომ წინააღმდეგობრივია ჩემი შემოქმედება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე „მთვარის მოტაცების" ავტორი „დიონისოს ღიმილის" ავტორიცა ვარ, სადაც რომანის პათოსია „ამაოება, ამაოთა და ყოველივე ამაო". ამის შემდეგ მე მთელი ნახტომი გავაკეთე „მთვარის მოტაცებასა" და „ვაზის ყვავილობაში". ახლა, ამ სიკვდილის წინ, თუ მკითხავ, როდის ვიყავ მე მართალი, „დიონისოს ღიმილს" რომ ვწერდი თუ „ვაზის ყვავილობას?" — აქედან რომ გადავხედავ ჩემს გზას, აწ უკვე განვლილს, მიჭირს რამე გითხრათ გადაჭრით. ერთი კია, ორივე შემთხვევაში გულწრფელი ვიყავ მე ჩემი სინდისისა და ჩემი სამშობლოს წინაშე. დაე, დრომ გამოიტანოს განაჩენი. მე არ მეშინია იმ მომავალი თაობისა, რომელიც 100-200 წლის შემდეგ წაიკითხავს ჩემი გატანჯული სულით ნაწერ რომანებსა და ნოველებს.

შევატყვე, რომ დაიღალა ამ საუბარში და ერთბაშად მოვუჭერი:

— დიდოსტატს სიკვდილი ვერ დაეწევა.

ხმა არ გაუღია, იწვა პირაღმა, ამპარტავანი და მეფურად ამაყი.

მეორე დღეს შემატყობინეს, ბატონი კონსტანტინე გარდაიცვალაო. უმალ მივაშურე კოლხურ კოშკს, ეზო უკვე სავსე იყო ხალხით. სამინელი დუმილი დაუფლებოდა იქ ყოველივეს, დიდოსტატის სიკვდილით გამოწვეული დუმილი. ექიმი ჩურჩულით მეუბნება: დავით აღმაშენებლის დარად უკანასკნელი ომი გადაიხადა ბატონმა კონსტანტინემ. იგი ფეხზე ამდგარი შეხვდა სიკვდილს და ასე გაეყარა სიცოცხლეს. ჩემს გულში ისევ ბატონ კონსტანტინეს სიტყვებმა გაიხმაურეს: სიკვდილი ვერ დაეწევა დიდოსტატს...

სერგი ჭილაია.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი 1985

„მხედრული". ს. კილაძის ფოტო.

სალომე ყანჩელი

ქართულმა საბჭოთა თეატრალურმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, 1952 წლიდან სკკპ წევრი სალომე ალექსანდრეს ასული **ყანჩელი**.

ს. ყანჩელი დაიბადა 1921 წელს ქ. თბილისში, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სანდრო ყანჩელის ოჯახში. ბავშვობიდანვე ეზიარა ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარულს.

ს. ყანჩელი ეკუთვნოდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა იმ თაობას, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიქცია თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ს. ყანჩელი მუშაობას იწყებს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

1946-1948 წლებში ს. ყანჩელი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობია.

1948-1956 წლებში ს. ყანჩელი სოხუმის ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულ დასში მოღვაწეობს. ეს პერიოდი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი შემოქმედებისათვის: ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან"), ესმა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი"), ძიძია (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა"), მირანდოლინა (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი") და სხვა. ამ როლებში მთლიანად გამოჩნდა ს. ყანჩელის არტისტული მიმზიდველობა, იუმორი, პლასტიკა, როლის არსში წვდომის უნარი.

1956 წლიდან ს. ყანჩელი კვლავ უბრუნდება რუსთაველის სახელობის თეატრს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იღვწოდა მთელი გატაცებით, თავდაუზოგავად. ამ თეატრის სცენაზე სრულად გამოვლინდა სალომე ყანჩელის თავისთავადი, მრავალმხრივი აქტიორული ნიჭი. იგი თანაბარი სიძლიერით ასახიერებდა როგორც დრამატულ, ასევე ლირიკულ და მკვეთრად სახასიათო როლებს.

ს. ყანჩელის რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელი პერიოდი მიითვლის ისეთ შესანიშნავ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სცენურ სახეებს, როგორიც არის ივლიტე ბოსტოღანაშვილი (კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა"), ვალია (ა. არბუზოვის „ისინი შეხვდნენ ერთმანეთს"), მზეთუნახავი (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა"), თალო (ნ. აზიანის „უკანასკნელი მასკარადი"), ბაბალე (მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები"), ხანუმა (ა. ცაგარელის „ხანუმა"), ბერნარდა (ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი"), ტატუ (ნ. წულეისკირის „თუთარჩელა"), დედოფალი ელიზაბეთი (შექსპირის „რიჩარდ მესამე").

აღსანიშნავია მსახიობის მიერ შექმნილი სახეები ქართულ კინემატოგრაფიასა და სატელევიზიო დადგმებში.

წავიდა ჩვენგან ქართული თეატრალური სკოლის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, მსახიობი, რომლის ხელოვნება აღბეჭდილი იყო ღრმა ეროვნულობით, თანამედროვეობის შეგრძნებით და გამორჩეული აქტიორული თვისებებით.

ჭეშმარიტი პროფესიონალის, სანდომიანი პიროვნების, ნიჭიერი მსახიობის სალომე ყანჩელის ხსოვნა მუდამ დარჩება ქართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა და მაყურებელთა ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრალური საზოგადოება; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

ყაზახი

ჭადრაკის დაფებთან

საქართველოს პირველობის (უმაღლესი ლიგა) მესამე ტურში გათამაშების ლიდერი, დიდოსტატი გუფელდი შავებით ეთამაშებოდა ჭაბუკ ოსტატობის კანდიდატ ჯანჯღავას. გათამაშდა სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტი. დიდხანს პოზიცია დაახლოებით თანაბარი იყო. შემდეგში ინიციატივას შავები დაეუფლნენ, გუფელდმა მოიგო ორი პაიკი. პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

დიდოსტატმა ზაიჩიკმა მოუგო ჭაბუკ ოსტატობის კანდიდატს შალამბერიძეს, ჩიქოვანმა — ბოკუჩავას, აზმაიფარაშვილმა გედევანიშვილს, გიორგაძემ — ტაბატაძეს. ბაღათუროვი და სტურუა ყაიმზე შეთანხმდნენ. ერთი პარტია გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ ჩემპიონატს მტკიცედ ლიდერობს დიდოსტატი გუფელდი, რომელსაც 2 ქულა და 1 მოსაგებ პოზიციაში გადადებული პარტია აქვს. დიდოსტატ ზაიჩიკს 2 ქულა აქვს, საერთაშორისო ოსტატ სტურუას, ოსტატებს ჩიქოვანსა და გიორგაძეს 1,5-1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ვილნიუსში გრძელდება დამატებითი მატჩ-ტურნირი სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულისათვის. პირველი წრის ბოლო პარტიაში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. გავრიკოვი და მ. გურევიჩი. ეს პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, პირველ წრეში ტურნირის ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო დაწინაურება. მორიგი პარტია გაიმართება დღეს — ვ. გავრიკოვსა და ა. ჩერნინს შორის.

ფეხბურთის ამბები

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) თასი, რომელიც გადაეცემა მსოფლიო ჩემპიონატში პირველ ადგილზე გამოსულ გუნდს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრედრიკო სორდილომ და მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის — იტალიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ენცო ბეარზოტმა იტალიიდან მექსიკაში ჩაიტანეს. მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა თასი მექსიკის ბანკის ერთ-ერთ სეიფში შეინახეს. საორგანიზაციო კომიტეტს ამ თასს ოფიციალურად გადასცემენ 15 დეკემბერს, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წილისყრის დროს.

ინდოეთის ქალაქ კალკუტაში მიმდინარეობს ფეხბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც დონეცკის „შახტიორი" მონაწილეობს. მორიგ ტურში საბჭოთა ფეხბურთელებმა მოუგეს ურუგვაის ცნობილ გუნდს „პენიაროლს" ანგარიშით 3:0. გოლები გაიტანეს ს. იაშენკომ, ს. მოროზოვმა და ვ. გრაჩოვმა. ამრიგად, დონეცკის „შახტიორმა" სამი თამაშიდან 6 ქულა მოაგროვა, თავის ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ვასამართავად იმყოფება სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი კიევის „დინამო". პირველი შეხვედრა კიეველმა ფეხბურთელებმა ქალაქ სან-დიეგოში დახურულ დარბაზში გამართეს ადგილობრივ „სოკერზთან" მცირე გაბარიტების მოედანზე. გუნდები 7-7 კაცის შემადგენლობით თამაშობდნენ. მატჩი დამთავრდა „სოკერზის" გამარჯვებით ანგარიშით 6:4.

სატურნირო ორბიტა

საერთაშორისო შაში. საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ნიცაში, ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ლიდერობენ მოსკოველი ა. შვარცმანი და ჰოლანდიელი ე. ბუდე. მათ 4-4 ქულით კვალდაკვალ მიჰყვებიან მსოფლიო ჩემპიონი რიგელი გ. ვალნერისი და სპილოს ძვლის ნაპირის წარმომადგენელი ხ. ზაბა.

კალათბურთი. როსტოვში მიმდინარეობს პირველი ლიგის ქალთა საკავშირო პირველობის მესამე ტურის მატჩები. ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა გუნდი, რომელმაც ჯერჯერობით სამი შეხვედრა გამართა და სამივე მოიგო — ტაშკენტის სკიფთან 88:57, უფის „სპარტაკთან" 111:80 და ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" — 72:62. დარჩენილი ორი შეხვედრის შედეგის მიუხედავად საქართველოს კალათბურთელებმა ფინალისტთა ექვსეულში თამაშის უფლება მოიპოვეს (ეს ექვსეული უმაღლეს ლიგაში გადასვლისათვის იასპარეზებს).

ცხენოსნობა. მოსკოვში ბიტცას ოლიმპიური კომპლექსის მანეჟში სამ დღეს გრძელდებოდა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში. წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ჭაბუკებმა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდი პირველ ადგილზე გამოვიდა. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლის აღზრდილმა, თბილისელმა ზაზა გონჯილაშვილმა, რომელმაც ამ ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა.

მოსკოვი

15 დეკემბერი

[illegible]

16 დეკემბერი

[illegible]

ჩვენს ტელეეკრანზე

თბილისი

15 დეკემბერი

[illegible] „თბილისი და თბილისელები". 18.25 — „აქტუალური ეკრანი". 18.55 — „საკვირაო გამოფენა". 19.00 — საერთაშორისო პანო- [illegible]

16 დეკემბერი

[illegible] ლიზი ფიზიკაში. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 13.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მიწის დაცვის სიგელი". 14.10 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — [illegible]

[illegible] კავშირის სახალხო არტისტები ე. ობრაზცოვა და ზ. სოტკილავა (მ.).

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „შემოდგომის მარათონი". 18.30 — განცხადებები. 18.35 — ქართული სატე- [illegible]

თეატრი

15 დეკემბერი

[illegible]

რედაქტორის მოადგილე **დ. იოსელიანი.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 [illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14